www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 31 ივლისი, 2012 წელი. | №3078 (171) | ფასი 50 თეთრი

ლონდონში ვეძებთ საქართველოს

10

ოლიმპიური ჩემპიონები, ირაკლი ცირეკიძე და ლაშა შავდათუაშვილი

"ამომრჩევლიდან სიამდე" - მოქალაქეებმა საკუთარი თავი უნდა გადაამოწმონ

მაგდა ლეკიაშვილი

სიების დაზუსტების კომისიამ "კარდაკარი" დაასრულა. "კარდაკარის" შედეგებს კომისიის თავმჯდომარე მამუკა კაციტაძე ჟურნალისტებს ოფიციალურად დღეს გააცნობს, ხოლო პირველ აგვისტოს ამომრჩეველთა ერთიანი სიის პრეზენტაცია გაიმართება. "კარდაკარის" შედეგები სახელმწიფო უწყებებიდან მიღებულ მონაცემებთან უნდა შეჯერდეს.

"24 საათთან" საუბარში მამუკა კაციტაძე აღნიშნავს, რომ "კარდაკარის" წარმატებაზე საუბარი ნაადრევია.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

100 დღე არჩევნებამდე ამერიკაში

კვირას აშშ-ში დაიწყო საპრეზიდენტო არჩევნებამდე დარჩენილი უკანასკნელი 100 დღის ათვლა - ეს არის პერიოდი, როდესაც ამერიკელი ამომრჩეველი არჩევნებით სერიოზულად ინტერესდება.

მოსალოდნელია, რომ ლონდონის ოლიმპიადის დასრულებიდან "რესპუბლიკური პარტიის" ყრილობის ჩატარებამდე, რომელიც 27 აგვისტოს ტამპაში (ფლორიდის შტატი) გაიხსნება, "რესპუბლიკელების" კანდიდატი მიტ რომნი საკუთარ კანდიდატურას დაასახელებს ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე. ეს გამოიწვევს ინტერესს და, როგორც ყოველთვის, გაზრდის მის რეიტინგს, თუნდ ძალიან მცირე ხნით.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

"საბას" ნომინანტები და გამარჯვებულები ვირტუალურ სივრცეში

თიბისი ბანკმა საზოგადოებას წარუდგინა ახალი პროექტი - ელექტრონული წიგნების სახლი "საბა". ეს არის ინოვაციური ვებ-სივრცე მისამართზე www.saba.com.ge, რომელიც საზოგადოებას სთავაზობს საუკეთესო თანამედროვე ლიტერატურის ელექტრონულ ვერსიებს - ლიტერატურული პრემია "საბას" სხვადასხვა წლების ნომინანტ და ლაურეატ წიგნებს, ელექტრონული სახით.

ლიტერატურული კონკურსი "საბას" არქივში დაგროვდა ბოლო 10 წლის მანძილზე ქართულ ენაზე გამოცემული საუკეთესო წიგნები. დღეიდან ისინი ელექტრონული წიგნების სახლში "საბა" განთავსდა და ხელმისაწვდომი გახდა მკითხველისთვის.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

1 აშშ დოლარი		1.6476⇧
1 ევრო		2.2056⇧
1 ინგლისური გირვანქა		2.6029⇧
1 თურქული ლირა		0.9351⇧
100 რუსული რუბლი		5.5948⇧
თბილისი		11°C - 2°C
ქუთაისი		6°C - 3°C
თელავი		7°C - -1°C
ზუგდიდი		6°C - 3°C
ბათუმი		9°C - 5°C
ნავთობი	3.30	+0.01 +0.36%
გაზი	2.54	-0.08 -3.19%
ოქრო	1,774.80	-11.50 -0.65%
ხორბალი	641.00	+0.25 +0.04%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

ტატალაშვილს არ გაუმართლა

10

ფასდაკლების კუპონი

აქცია ექსკლუზივი

24 საათი | Weekend | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | საქართველოს ფოსტა GEORGIAN POST

4 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით!
ექსკლუზიურად „24 საათის“ და „Weekend“-ის მკითხველისთვის!

- ამოჭერი კუპონი და მიიღე ექსკლუზიური ფასდაკლება „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ წიგნებზე „საქართველოს ფოსტის“ პრესის ჯიხურებში მთელი საქართველოს მასშტაბით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილას.
- აირჩიე 5 წიგნიდან შენთვის სასურველი 1 წიგნი და შეიძინე საუკეთესო ფასად!

ყვავი ცალიწინდა ოინგაზობს	~~5.90~~	4.90
ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი	~~9.00~~	4.00
ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები	~~6.90~~	3.00
ქართველები ამერიკაში	~~17.90~~	11.90
კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი	~~15.90~~	11.00

პრეზიდენტმა ბორჯომში მშენებარე სასტუმროები დაათვალიერა

მიხეილ სააკაშვილი გუშინ ბორჯომს ესტუმრა და იქ მშენებარე სასტუმროები დაათვალიერა. პრეზიდენტის "ფეისბუკის" ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, მიხეილ სააკაშვილი ბორჯომის პარკშიც იმყოფებოდა.

ქვეყნის პირველი პირი პარკში მიმდინარე მშენებარე და სარეაბილიტაციო სამუშაოებსაც გაეცნო და ადგილობრივ მოსახლეობას, დამსვენებლებსა და ტურისტებს გაესაუბრა.

გუშინვე სააკაშვილი ოზურგეთის რაიონის სოფელ ბახვში იმყოფებოდა. პრეზიდენტი მოსახლეობას შეხვდა და მათი პრობლემები მოისმინა. მან ადგილობრივ მოსახლეობას მთავრობის გეგმები და პრიორიტეტები გააცნო. საუბარი, ძირითადად, სადაზღვევო პაკეტს, 1000-ლარიან ვაუჩერსა და გაზრდილ პენსიებს შეეხო.

მიხეილ სააკაშვილმა, რეგიონული განვითარების მინისტრ რამაზ ნიკოლაიშვილთან ერთად, ურეკის სანაპიროზე მიმდინარე სამუშაოებიც დაათვალიერა.

დავით ბაქრაძე ხონში მოსახლეობას შეხვდა

პარლამენტის თავმჯდომარე ხონს ესტუმრა. დავით ბაქრაძე აღმაშენებლის ქუჩის მოსახლეობას შეხვდა და ხელისუფლების ინიციატივები გააცნო. საუბრის მთავარი თემა ახალი საპენსიო პაკეტი, სამედიცინო დაზღვევა და ათასლარიანი ვაუჩერები იყო.

ხონელებმა დავით ბაქრაძეს დასაქმების, გაზიფიცირებისა და გარე განათების პრობლემის მოგვარება სთხოვეს.

შეხვედრაზე განსაკუთრებით გამოყვეს ხონი-წყალტუბოს დამაკავშირებელი გზის საკითხი - ეს მონაკვეთი 40 წლის წინათ აშენდა და მას შემდეგ არ შეკეთებულა. პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოები გზაზე ორ კვირაში დაიწყება.

დავით ბაქრაძე ესტუმრა ძიძიგურების ოჯახსაც, რომელიც ავეჯის დამამზადებელ საწარმოს ფლობს და 40-ზე მეტი ადამიანი ჰყავს დასაქმებული.

ბაღათურიასა და "ქართულ ოცნებას" შორის მოლაპარაკებათა შედეგები 2-3 აგვისტოსთვის გახდება ცნობილი

პოლიტიკური გაერთიანება "ქართული დასის" ლიდერ ჯონდი ბაღათურიასა და კოალიცია "ქართულ ოცნებას" შორის მიმდინარე მოლაპარაკებების შედეგები, სავარაუდოდ, 2-3 აგვისტოსთვის გახდება ცნობილი. როგორც "მედიანიუსი" დეპუტატის განცხადებაზე დაყრდნობით იუწყება, გრძელდება მოლაპარაკებები სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის, უპირველესად, კოალიციასთან მისი თანამშრომლობის ფორმატზე.

დეპუტატის თქმით, მას შემდეგ, რაც "ქართული ოცნების" ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა თბილისის საბურთალოს ოლქში მაჟორიტარობის კანდიდატი დაასახელა, ბაღათურიასა და ივანიშვილს შორის შეხვედრა არ გამართულა. დეპუტატი აცხადებს, რომ მიმდინარე კონსულტაციებისას საბურთალოს საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, მაგრამ არა მთავარი და მისი გადაჭრა ადვილად შეიძლება.

ძვირფასო მკითხველო

7 წლის ლუკა წულეისკირს, რომელიც დაავადებულია- **მწვავე ლიმფოიდური ლეიკემიით** და ამჟამად გადის მკურნალობას ინტენსიური ქიმიოთერაპიის კურსით გერმანიაში, ქალაქ ფრაიბურგის საუნივერსიტეტო ბავშვთა კლინიკაში აუცილებლად ესაჭიროება **ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გადანერგვის გადაუდებელი ოპერაცია.**

გთხოვთ, გულთან ახლოს მიიტანოთ პატარა ლუკას მდგომარეობა, გამოიჩინოთ გულისხმიერება და შესაძლებლობის ფარგლებში, **ნებისმიერი ოდენობის** (მცირეოდენი) შენატანებით დაგვეხმაროთ ოპერაციისთვის საჭირო თანხების შეგროვებაში.

საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი: **KSBGGE22**
ბანკის დასახელება: **კორ-სტანდარტ ბანკი**
ანგარიში: **GE19KS0000000360800511**
მიმღები: **ა(ა)იპ ლუკა წულეისკირის დახმარების ფონდი**

ასევე შესაძლებელია ჩარიცხვა განხორციელდეს ნებისმიერი მობილური ოპერატორის მეშვეობით (1 ზარის ღირებულებაა 1 ლარი) შემდეგ ნომერზე:

0 901 500 552

წინასწარ გიხდით დიდ მადლობას თქვენი თანადგომისა და დახმარებისთვის.

მარცვლეულზე ფასები ივლისში ისტორიულ მაქსიმუმამდე გაიზარდა

რა გავლენას მოახდენს მარცვლეულის ფასების ზრდა ქართულ ბაზარზე

მარცვლეულზე (ხორბალი, სიმინდი, ბარდა, ბრინჯი, ქერი) მსოფლიო ფასებმა 2012 წლის ივლისში ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია - ფასების ინდექსი პირველად გადასცდა 310 პუნქტობრივ მაჩვენებელს, 20 ივლისს კი პიკი დაფიქსირდა - 339 პუნქტი, რაც გასული წლის იმავე მაჩვენებელზე 17 პროცენტით მეტია - ამის შესახებ მარცვლეულის საერთაშორისო საბჭოს (MC3 — International Grains Council, IGC) მასალებშია ნათქვამი.

გასულ წელთან შედარებით სხვადასხვა სახის მარცვლეულზე ფასები შემდეგნაირად არის შეცვლილი:

ხორბალი - ტონა 340 აშშ დოლარი (2012 წ.); ტონა 300 აშშ დოლარი (2011 წ.);

სიმინდი - ტონა 335 აშშ დოლარი (2012 წ.); ტონა 302 აშშ დოლარი (2011);

სოიო - ტონა 640 აშშ დოლარი (2012); ტონა 533 აშშ დოლარი (2011);

ქერი - ტონა 291 აშშ დოლარი (2012); ტონა 287 აშშ დოლარი (2011);

ბრინჯი - ტონა 580 აშშ დოლარი (2012); ტონა 560 აშშ დოლარი (2011);

ანალიტიკოსების შეფასებით ფასების ზრდა, ძირითადად, მწარმოებელ ქვეყნებში მოსავლის შემცირებამ გამოიწვია, ამის მიზეზი კი გვალვები და წყალდიდობები გახდა.

საქართველოში ყველაზე მოთხოვნადი მარცვლეულის - ხორბლის მოხმარების 85 პროცენტი იმპორტზე მოდის, რაც უკრაინიდან, ყაზახეთიდან, რუსეთიდან და ევროპის ქვეყნებიდან ხორციელდება; მოთხოვნის 15 პროცენტი კი ადგილობრივი წარმოებით კმაყოფილდება.

2012 წლის პირველ ნახევარში საქართველოში 102 მლნ აშშ დოლარის მარცვლეულის იმპორტი განხორციელდა, მათ შორის ხორბალი - 84 მლნ აშშ დოლარი, სიმინდი - 8,5 მლნ აშშ დოლარი, ბრინჯი - 3.3 მლნ აშშ დოლარი, ქერი - 105 ათასი აშშ დოლარი, შვრია - 86 ათასი აშშ დოლარი.

მსოფლიო ბაზარზე ხორბალზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად აღემატება მიწოდებას. რუსეთიდან ხორბლის ექსპორტის გაზრდის მიუხედავად, ხორბლის ფასი ბაზარზე მაინც იზრდება. ანალიტიკოსების პროგნოზით, რუსეთი მსოფლიო ბაზარს 17,9 მილიონ ტონა ხორბალს შესთავაზებს, მაგრამ ეს რაოდენობა ფასების შესანარჩუნებლად საკმარისი არ არის. ბოლო 30 წლის მანძილზე აშშ ხორბლის მეორე დიდი ექსპორტიორი ქვეყანაა. აშშ-ს ხორბლის მინდვრებზე გვალვის გამო უკვე მეორე წელია, მთელს მსოფლიოში ხორბლის მარაგები შემცირდა. აშშ-ს სოფლის მეურნეობის სამინისტრო აცხადებს, რომ 2012 წელს ხორბლის ფასი 3 პროცენტით გაიზრდება. ექსპერტების აზრით, დეკემბრის ბოლომდე ხორბლის ფასი 16 პროცენტით მოიმატებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ფასი ერთ ბუშელზე 8,5 დოლარი იქნება.

მსოფლიო ბაზარზე ხორბლის ფასის ზრდა საქართველოზე, სავარაუდოდ, არ აისახება. ფქვილის მწარმოებელი კომპანია "მზეკაბანის" ვიცე-პრეზიდენტ ზურაბ გიგაურის განცხადებით, საქართველოში ხორბლის ერთადერთი ექსპორტიორი ყაზახეთია, შესაბამისად ევროპასა და აშშ-ში შესაძლო ფასების ზრდა ქართულ ბაზარზე, სავარაუდოდ, არ იმოქმედებს. "ჯერჯერობით მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ფასები იზრდება, თუმცა ჩვენ ჯერ კიდევ ძველი მარაგები გვაქვს. ახალი მოსავალი ჯერ არ არის აღებული. სწორედ ამაზეა დამოკიდებული, გაიზრდება თუ არა ფასები, თუმცა საქართველოში 100-პროცენტიანი იმპორტიორი ყაზახეთია, სადაც ფასების ზრდა ნაკლებად არის მოსალოდნელი. როგორც ინტერნეტში ვკითხულობთ, ხორბლის ფასების ზრდას აშშ-სა და ევროპაში ვარაუდობენ," - აღნიშნა ზურაბ გიგაურმა.

ექსპერტების ვარაუდით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანაა და მომწოდებლებმა ხორბალზე ფასები გაზარდეს, თუმცა მდგომარეობა ჯერჯერობით საგანგაშო არ არის.

ივნისის შუა რიცხვებიდან მოყოლებული, ხორბლის ფასი ერთ ტონაზე 50 დოლარით არის მომატებული. ჯერჯერობით, საქართველოში ხორბალსა და ფქვილზე ფასები არ შეცვლილა, თუმცა, მწარმოებლების ნაწილის შეფასებით, თუ საერთაშორისო დინამიკა ზრდისკენ წავა, ფასების კორექტირება საქართველოშიც მოხდება.

მსოფლიო ბაზარზე ხორბლის ფასის პერმანენტული ზრდა 5 ივნისიდან დაიწყო. ამ პერიოდიდან მოყოლებული, ჩიკაგოს ბირჟაზე 1 ტონა ხორბლის ფასი 51,7 დოლარით გაიზარდა, ლონდონის ბირჟის მონაცემებით კი - 32,2 დოლარით.

ბოლო პერიოდში მსოფლიოში ხორბლის ფასის ზრდა, ძირითადად, იმპორტიორ ქვეყნებში გვალვიანმა ამინდებმა განაპირობა. გაჩნდა მოსავლის შემცირების საფრთხე, რაც პროდუქტის ფასზეც აისახა. მაგალითად, უკრაინასა და ევროპის ქვეყნებში გვალვის გამო მოსავლის საკმაოდ დიდ ნაწილი გაფუჭდა.

გარდა ამისა, ხორბლის ფასზე გარკვეულ გავლენას ხორბლის მოსავლის პროგნოზიც ახდენს. მეხორბლეთა საერთაშორისო საბჭოს გათვლებით, 2012-13 წლებში მსოფლიოში ხორბლის საერთო მოსავალი 5 მილიონი ტონით შემცირდება, არსებული მარაგები კი - 8 მილიონი ტონით.

მეხორბლეთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ლევან სილაგავა აღნიშნავს, რომ ბოლო პერიოდში მსოფლიო ბაზარზე ხორბლის ფასის ზრდის ტენდენცია შეიმჩნევა, მაგრამ ამას სისტემატური ხასიათი არა აქვს, ამიტომ ეს ადგილობრივ ბაზარზე გავლენას ნაკლებად მოახდენს. ამასთან, საქართველო უკვე წლებია, ძირითადად, რუსულ, უკრაინულ და ყაზახურ ხორბალს მოიხმარს, ამდენად ჩიკაგოს ბირჟაზე დაფიქსირებული ზრდა ჩვენთან ნაკლებ გავლენას იქონიებს.

"მსოფლიო ბაზარზე ხორბლის ფასის ზრდა სისტემატური ხასიათის არ არის. საქართველოს აქვს ხორბლის მარაგები. ამდენად საერთაშორისო ბაზარზე ფასის ცვლილება ჩვენთან პროდუქტებზე ფასების შეცვლას არ იწვევს. გარდა ამისა, ჩვენ გეოგრაფიულად მიბმულები ვართ რუსეთზე, უკრაინასა და ყაზახეთზე. თუმცა, წლეულს საქართველოში უკრაინული ხორბალი საერთოდ არ შემოსულა, რადგან ერთსა და იმავე ხარისხის ხორბალზე რუსეთს და ყაზახეთს უფრო დაბალი ფასი აქვთ, ვიდრე უკრაინას," - აცხადებს სილაგავა.

პურპროდუქტების ასოციაციის ხელმძღვანელ მალხაზ დოლიძის განმარტებით, ბოლო პერიოდში საქართველოში ფქვილის ფასი გაზრდილია, თუმცა ესპურის ფასზე ჯერჯერობით არ ასახულა. მისი თქმით, საქართველოში პურის ფასი გაიზრდება, თუ ერთი ტომარა ფქვილის ფასი 35-37 ლარს გადააჭარბებს. დღეს კი ერთი ტომარა ფქვილის ფასი, საშუალოდ, 33 ლარია. "ბოლო პერიოდში საქართველოში ფქვილი, დაახლოებით, 2 ლარით გაძვირდა. თუ ადრე ტომარა ფქვილის ყიდვა 31 ლარად შეიძლებოდა, დღეს მისი ფასი 33-34 ლარია. მაგრამ ეს პურის ფასზე ჯერჯერობით არ ასახულა. საერთოდ, პურის გაძვირება მტკივნეული საკითხია, ამიტომ მეწარმეები ფქვილზე ფასის მატების დროს ცდილობენ, ფასი სხვადასხვა მეთოდებით დაარეგულირონ," - ამბობს დოლიძე.

სპეციალისტთა თქმით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ხორბლის ადგილობრივ მოსავალს მცირე წილი უჭირავს, ის გარკვეულწილად მაინც განსაზღვრავს ფასს. ახლა კი ხორბლის აღების დრო უკვე საქართველოშიც მოვიდა და ადგილობრივ ბაზარზე ფასი მეტ-ნაკლებად სტაბილური იქნება.

გაქურდული და შავ ზღვაში ჩაძირული გემი

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა ორგანიზებული დაჯგუფების საქმე და დიდი ოდენობით ქონების ქურდობასა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში ბრალდებულ - კობა კანდელაკს, თენგიზ დიასამიძეს, რუსლან ნაცარიშვილს და ედნარ შაქარიშვილს განაჩენი გამოუტანა.

საქმის მასალების მიხედვით, რუსლან ნაცარიშვილი, 2009 წლის ივნისში, დაუკავშირდა თავის მეგობრებს, შპს "არტმშენი 21"-ის ფაქტობრივ მფლობელებს - ედნარ შაქარიშვილს და თენგიზ დიასამიძეს და შპს "ჯეოინსპექტი"-ს დირექტორ კობა კანდელაკს, ასევე, თურქეთის მოქალაქეებს - ჩეთინ აიდინს და მის პარტნიორებს, სატვირთო გემი "ელისა-ზ"-ს მფლობელებს შევქეთ ჩუბუქს, ახმად და ბურაკ ერდოღანებს. ნაცარიშვილი მათ შეუთანხმდა ხსენებულ გემზე არსებული ფოლადის წნელების (არმატურის) მოპარვისა და საქართველოში შემოტანის თაობაზე.

შეთანხმების თანახმად, ჯგუფის წევრებს, ქალაქ ისქენდეროლის ნავსადგურში მყოფ გემ "ელისა-ზ"-ზე არსებული უცხო სახელმწიფოს კუთვნილი ტვირთი, 2256 ტონა ფოლადის წნელები (არმატურა) უნდა მოეპარათ, საქართველოში შემოეტანათ და გაეყიდათ. დანაშაულის დაფარვისა და სადაზღვევო თანხის მიღების მიზნით კი, გემი "ელისა-ზ" შავ ზღვაში უნდა ჩაეძირათ. დანაშაულის სისრულეში მოყვანისა და ტვირთის უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით ბრალდებულებმა დაამზადეს ყალბი სასაქონლო ინვოისები, რომლის თანახმად, გემზე არსებული ფოლადის წნელები, ვითომდა ორი თურქული კომპანიისგან შესყიდული ჰქონდა საქართველოში რეგისტრირებულ შპს "არტმშენი 21"-ს.

2009 წლის ივლისის დასაწყისში, გემ "ელისა-ზ"-ით და ყალბი ინვოისების გამოყენებით საქართველოში შემოვიდა უცხო ქვეყნის კუთვნილი, გეგმის მიხედვით, მოპარული 2 256 ტონა არმატურა, რომლის საინვოისო ღირებულება გახლდათ - 901 628 დოლარი. ინვოისების საფუძველზე, ფოლადის წნელები, განბაჟდა შპს "ჯეოინსპექტი"-ს დახმარებით, ხოლო საბაჟო დეკლარაციაში არმატურის შემსყიდველად დაფიქსირდა ედნარ შაქარიშვილის და თენგიზ დიასამიძის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული შპს "არტმშენი 21". ბრალდებულებმა შპს "არტმშენის"-ს გამოყენებით, მოპარული ტვირთი ადგილობრივ ბაზარზე გაყიდეს, ხოლო მიღებული უკანონო შემოსავალი - 1 250 000 დოლარი, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა ერთმანეთში გაინაწილეს.

გეგმის მიხედვით, ჯგუფის წევრებმა 2009 წლის ივლისის თვეში გემი "ელისა-ზ" ჩაძირეს შავ ზღვაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის პროცესში ბრალდებულების აღიარებისა და გამოძიებასთან თანამშრომლობის საფუძველზე მხარეებს შორის დაიდო საპროცესო შეთანხმება.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულები დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და კობა კანდელაკს, თენგიზ დიასამიძეს და ედნარ შაქარიშვილის 8-8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, რუსლან ნაცარიშვილს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობითად 6 წლის გამოსაცდელი ვადით და ასევე, დაეკისრა ჯარიმა 2000 ლარი.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

"ამომრჩევლიდან სიამდე" - მოქალაქეებმა საკუთარი თავი უნდა გადაამოწმონ

პირველი გვერდიდან

კომისიის მუშაობა საზოგადოებამ უნდა შეაფასოს. მოქალაქეების შეფასებას კი კომისიის ყველა წევრი ელოდება. თუკი სიების დაზუსტების კომისიის მიერ საარჩევნოდ შექმნილი სია საზოგადოების მოწონებას დაიმსახურებს, შესაძლოა, კომისიის მუდმივმოქმედებაზეც დაიწყოს საუბარი.

მამუკა კაციტაძის თქმით, პირველი აგვისტოდან ერთი თვის განმავლობაში კომისია მუშაობას გააგრძელებს ახალი მეთოდით - "ამომრჩევლიდან სიამდე". მოქალაქეებს საშუალება აქვთ, კომისიის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ სიაში საკუთარი თავი გადაამოწმონ. უზუსტობების აღმოჩენის შემთხვევაში კი კომისიის წევრებს მიმართონ. სიებში ჩასწორებების გაკეთება სახელმწიფო უწყებას 15 სექტემბრამდე შეუძლია.

კომისიამ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ამომრჩეველთა ერთიანი სია პირველ აგვისტოს უნდა გადაუგზავნოს.

"ჩვენ დავასრულეთ კომისიის მუშაობის პირველი ეტაპი - სიიდან ამომრჩევლამდე. ამ ეტაპზე ჩვენი რეგისტრატორები კარდაკარ დადიოდნენ და სიების მიხედვით ამოწმებდნენ მოქალაქეებს. ახლა პირიქით იქნება - "ამომრჩევლიდან სიამდე". მოქალაქეებმა საკუთარი თავი ერთიან სიაში უნდა გადაამოწმონ. პირველ სექტემბრამდე კი შეუძლიათ, მოგვმართონ და შესწორებები შეგვატანინონ," - ამბობს სიების დაზუსტების კომისიის თავმჯდომარე. კაციტაძე დასძენს, რომ პირველი აგვისტოდან პირველ სექტემბრამდე შესწორებების დაშვება მათი კომისიის მოთხოვნით მოხდა. შესაბამისი ცვლილება საარჩევნო კოდექსშიც შევიდა.

"კარდაკარის" შედეგად გადამოწმდა 3 მილიონ 483 ათას 142 ამომრჩეველი. აქედან, 2 მილიონ 160 ათას 608 მოქალაქის მონაცემი ზუსტი აღმოჩნდა. დაზუსტებები შევიდა 39 ათას 426 პირად მონაცემში. სიაში გამოტოვებულია სულ 72 ამომრჩეველი, 291 ათას 471 საზღვარგარეთ იმყოფება, ხოლოდ 25 ათას 949 გარდაცვლილია.

რაც შეხება ამომრჩეველთა ერთიან სიას 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის, ის შემდეგნაირად გამოიყურება: 3 მილიონ 382 ათას 557 ამომრჩეველიდან საზღვარგარეთ გასულია 291 ათას 471. დევნილები 207 ათას 55-ს შეადგენენ.

საქართველოში საარჩევნო ხმის უფლების მქონე 55 ათას 277 სამხედრო მოსამსახურეა. ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეთა რაოდენობა, რომელთაც ქართულმა კანონმდებლობამ აქტიური და პასიური ხმის მიცემის უფლება მიანიჭა, არის 109. პატიმრობაში იმყოფება არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე 1295 ადამიანი. ამ უკანასკნელებს ხმის მიცემის უფლება გასულ წელს საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებებით მიენიჭათ. ვენეციის კომისიის რეკომენდაციით, ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის დაკავებულებს უნდა ჰქონდეთ ხმის მიცემის უფლება. მმართველმა გუნდმა ეს რეკომენდაცია გაითვალისწინა და კოდექსში ჩასწორება გააკეთა. თუმცა, როგორც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ამბობენ, ამ კატეგორიის მოქალაქეებისთვის რამდენიმე პრობლემა არსებობს. პირველ რიგში, პატიმრების უმეტესობას პირადობის მოწმობა თან არა აქვს, რომელიც ხმის მიცემის დღეს აუცილებელია. ამას გარდა, პატიმრები შესაბამისად არ არიან ინფორმირებულები და რომელიმე პოლიტიკური გუნდის სასარგებლოდ არჩევანის გაკეთება შესაძლოა, გაუჭირდეთ. სასჯელაღსრულების სამინისტრომ პირობა დადო, რომ ხმის მიცემის უფლების მქონე პატიმრებს თავად უზრუნველყოფს პირადობის მოწმობებით. გარდა ამისა, საპატიმროებში გამოიყოფა სპეციალური სტენდი, სადაც პოლიტიკური პარტიების საგიტაციო მასალები განთავსდება.

კახი კალაძე ყადაღის მოსახსნელად პროკურატურაში იდავებს

"კახი კალაძეს სასამართლოში გასაჩივრების უფლება ჩამოართვეს," - ამბობს კალაძის ადვოკატი. კახი კალაძე სააპელაციო სასამართლოში საქალაქო სასამართლოს იმ გადაწყვეტილებას ასაჩივრებდა, რომლის მიხედვითაც, 26 ივლისს "ქართული ოცნების" ერთ-ერთ ლიდერს ანგარიშები დაუყადაღეს.

კახი კალაძის ადვოკატის შალვა თადუმაძის თქმით, სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო 48 საათში განეხილა საჩივარი და კანონმდებლობიდან გამომდინარე, ან არ მიეღო წარმოებაში, ან არ დაეკმაყოფილებინა და ძალაში დაეტოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, ან კიდევ მოეხსნა ყადაღა.

"მაგრამ ძალიან საინტერესო რამ მოხდა. ჩვენ საჩივრით მივმართეთ სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიას, ახლა კი მივიღე პირველი ინსტანციის სასამართლოს კანცელარიის თანამშრომლის წერილი, სადაც აღნიშნულია: გამომდინარე იქიდან, რომ კახი კალაძე ბრალდებული არ არის, ყადაღის მოხსნასთან დაკავშირებით, მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდება. ეს გამომიგზავნა საქალაქო სასამართლოს კანცელარიის თანამშრომელმა ნიკოლოზ მარგველაშვილმა. ანუ, საჩივარზე გადაწყვეტილება საქალაქო სასამართლოს კანცელარიის თანამშრომელმა მიიღო, რაც უფლებამოსილების გადამეტებაა. მარგველაშვილს არ გააჩნია უფლებამოსილება საჩივრები განიხილოს და რაიმე სახის გადაწყვეტილებები მიიღოს. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს ქმედებას, ეს ნიშნავს, რომ კახი კალაძეს გასაჩივრების უფლება ჩამოართვეს," - ამბობს ადვოკატი თადუმაძე, როელიც ამჯერად ყადაღის მოხსნის თაობაზე პროკურატურისთვის მიმართვას აპირებს.

პროკურატურის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, **"ეროვნულ ბანკთან არსებული ფინანსური მონიტორინგის სამსახურიდან შემოსული ინფორმაციის თანახმად, კახა კალაძის საბანკო ანგარიშებზე ბოლო პერიოდის განმავლობაში განხორციელდა დაახლოებით 6 მილიონ აშშ დოლარის ოდენობის თანხის ჩარიცხვა. ამავე ანგარიშიდან დროის მოკლე მონაკვეთში განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობითა და შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტებით საეჭვო ოპერაციად მიჩნეული განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნაღდი ფულის გადინება. კერძოდ, ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში კალაძის საბანკო ანგარიშიდან ეტაპობრივად განხორციელდა 1 600 000 ლარამდე თანხის ნაღდი ფულის სახით გატანა, რომლის შემდგომი მოძრაობა არც ერთ საბანკო დაწესებულებაში არ ფიქსირდება. ამასთან არ არსებობს ზემოთ აღნიშნულ თანხასთან დაკავშირებული რაიმე სახის სამოქალაქო გარიგების დამადასტურებელი დოკუმენტი. საგულისხმოა, რომ იმავე დროის მონაკვეთში მისი ანგარიშებიდან დამატებით საბანკო ანგარიშგების (უნაღდო) წესით ხორციელდებოდა სხვადასხვა პირადი და საყოფაცხოვრებო ხარჯების ანაზღაურება საერთო ჯამში დაახლოებით 900 000 ლარის ოდენობით, რაც ადასტურებს, რომ სამოქალაქო გარიგებებისას ან სხვა მიმდინარე ხარჯების დაფარვისას კახა კალაძე ანგარიშსწორებას ახორციელებს ჩვეულებრივად, საბანკო ანგარიშსწორების (უნაღდო ოპერაციების) მეშვეობით.**

შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნით გამოძიება ვალდებულია, გამოიკვლიოს განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნაღდი ფულის (1 600 000 ლარი) საეჭვო ოპერაციები და გამოძიების დასრულებამდე უზრუნველყოს საბანკო ანგარიშების დაყადაღება," - ასეთია პროკურატურის პოზიცია კალაძის საქმესთან დაკავშირებით, რომელიც რამდენიმე დღის წინ თბილისის საქალაქო სასამართლომ უკრიტიკოდ გაიზიარა და კახი კალაძის საბანკო ანგარიშები დააყადაღა.

საკოორდინაციო საბჭოს სხდომა კახეთში

კახეთში დაზარალებულთა დახმარების საკოორდინაციო საბჭოს სხდომა გაიმართა, რომელსაც რეგიონში პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი ლევან ბეჟაშვილი ხელმძღვანელობდა. მან მოხალისეთა ჯგუფების კოორდინატორებისგან მოისმინა პირველი შედეგები იმ მონიტორინგისა, რომელიც კახეთში გუშინწინ დაიწყო. დაზარალებული ოჯახების მონაცემების შეგროვება გვიანობამდე მიმდინარეობდა. ბეჟაშვილის თქმით, 300 ადგილობრივი მოხალისე სახლებში კითხვარებით მიდის და ყოველი ოჯახისთვის სტიქიის მიერ მიყენებულ ზარალს სრულად აღწერს.

მოხალისეები ასევე ამოწმებენ, შეიცვალა თუ არა დაზიანებული სახურავები და მიიღო თუ არა თითოეულმა დაზარალებულმა სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი შხამ-ქიმიკატები და სასურსათო დახმარების პაკეტი. მოხალისე ახალგაზრდებმა ოჯახებში სიარული გუშინ დილიდან ისევ განაახლეს. "კარდაკარის" პრინციპით გამოკითხვა თელავის, გურჯაანის, ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონის ორმოცამდე დასახლებულ პუნქტშია დაგეგმილი.

"ქართული ოცნების" ლიდერების შეხვედრას შალაურში ხმაური მოჰყვა

კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერების მოსახლეობასთან შეხვედრა თელავის რაიონის სოფელ შალაურში ხმაურით მიმდინარეობდა. "ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, ადგილობრივმა მოსახლეობამ თინა ხიდაშელთან და ირაკლი სესიაშვილთან შეხვედრის დროს მადლობა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს გადაუხადა.

"სტიქიიდან 10 დღეზე მეტი გავიდა, პირველივე დღეს მოვიდა პრეზიდენტი, მას მერე მთავრობას ჩვენთვის თავი არ დაუნებებია, ყველაფერს აკეთებენ, რომ დაგვეხმარონ. თქვენ ახლა გაგახსენდათ შალაური?" - მიმართა ერთ-ერთმა ადგილობრივმა მკვიდრმა ნელი ჩიკვაიძემ "ქართული ოცნების" ლიდერებს.

ადგილობრივების რეპლიკებს ირაკლი სესიაშვილმა პროვოკაცია უწოდა.

"ჩვენი სურვილია, ადამიანები იყვნენ რეალურად და არა დარიგებულად კმაყოფილები. ყველა ჩვენი თვალით ვხედავთ, რომ ზარალი არის დიდი, დაიხოცა შინაური ფრინველი, ცხოველი, დაუზიანადათ ავეჯი, ზოგს მოსავალის უდიდესი ნაწილი გაუნადგურდა და ყველას გვესმის, რომ 300 და 1500 ლარამდე ანაზღაურება, რამდენიმე კვირაც არ ეყოფათ. ვინმე თუ გამოვა და იტყვის, რომ ხელისუფლებამ ყველაფერი გაგვიკეთა, ეს იქნება თავის მოტყუება. ჩვენ თუ გვინდა, რომ მიშას, ვირტუალურ "კმაყოფილ" საქართველოში ვიცხოვროთ, სადაც 90 პროცენტს ეშინია, რომ თქვას, რა პრობლემები აქვს და რა ზარალი მიადგა, ასე ვერც ქვეყანას ვუშველით და ხალხიც ისეთივე მძიმე მდგომარეობაში გვეყოლება, როგორც თუნდაც ამ წუთას შალაურშია," - აღნიშნა სესიაშვილმა.

ნათელაშვილის განცხადებით, "ლეიბორისტებს" "ამერიკის დირიჟორობით" დევნიან

"ლეიბორისტული პარტიის" განცხადებით, მათ წინააღმდეგ დევნა "ამერიკის დირიჟორობით" ხორციელდება. ამის შესახებ შალვა ნათელაშვილმა "ლეიბორისტული პარტიის" ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

"მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, ქვეყნისა და მსოფლიოს გასაგონად, რომ დევნა ჩვენ წინააღმდეგ ხორციელდებოდა და ხორციელდება ამერიკის დირიჟორობით, შევარდნაძე-სააკაშვილის შესრულებით და კრიმინალ ივანიშვილის ფინანსებით," - აღნიშნა ნათელაშვილმა.

მისივე განცხადებით, 2002 წელს თეთრმა სახლმა "ლეიბორისტულ პარტიას", ხელისუფლებაში მოსვლის სანაცვლოდ, ზურაბ ჟვანიასთან და მიხეილ სააკაშვილთან გაერთიანება შესთავაზა, რაზეც ვაშინგტონმა უარი მიიღო. ნათელაშვილის თქმით, ამერიკას აღიზიანებს "ლეიბორისტების" ბრძოლა არაკოლონიური, თავისუფალი საქართველოსთვის. "ამერიკაა თამადა და დირიჟორი საქართველოს თავს დამტყდარი ყველა უბედურებისა და, პირველ რიგში, იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში თავისუფალი არჩევნები უკვე 15 წელია, აღარ ტარდება და არჩევნების შედეგები წინასწარ იწერება სახელმწიფო დეპარტამენტში, თეთრ სახლში , NDI- ში, IRI-სა, ამერიკის საელჩოში," - აღნიშნა ნათელაშვილმა.

"ახალი მემარჯვენეები" სოფელ მუხროვანის მოსახლეობას შეხვდნენ

"ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთი ლიდერი მანანა ნაჭყებია და საპარლამენტო არჩევნებში პარტიის გარდაბნის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი სოსო ივანაური გუშინ გარდაბნის რაიონის სოფელ მუხროვანის მოსახლეობას შეხვდნენ.

"გარდაბნის რაიონის ეს ერთი სოფელი ზოგადად, სოფლის მიმართ დღევანდელი ხელისუფლების დამოკიდებულების ნათელი მაგალითია: სოფელს არა აქვს წყალი, გაზი, გზა, ბაღი, სკოლა ისეთ მძიმე მდგომარეობაშია, რომ მშობლებს ურჩევნიათ, ბავშვები რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ სოფელში ატარონ," - განაცხადა შეხვედრის შემდეგ მანანა ნაჭყებიამ. მისივე თქმით, პარტიის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი სოფელი და სოფლის მოსახლეობის პრობლემების მოგვარებაა.

"ახალი მემარჯვენეების" მიერ პარლამენტში შეტანილი პირველივე კანონპროექტი სწორედ სოფლის შესახებ კანონი იქნება, რომელიც საკანონმდებლო დონეზე მოაგვარებს სოფლების წინაშე მდგარ პრობლემებს," - განაცხადა ნაჭყებიამ.

გურამ ჩახვაძემ შვეიცარიის ელჩს საპროტესტო წერილი გადასცა

"ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" ერთ-ერთმა ლიდერმა გურამ ჩახვაძემ შვეიცარიის ელჩს რუსეთისთვის განკუთვნილი საპროტესტო წერილი გადასცა.

როგორც პარტიაში აცხადებენ, "ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" საიტზე განხორციელდა კიბერშეტევა რუსეთის ფედერაციაში დარეგისტრირებული IP მისამართიდან, რის შედეგად პარტიის კომპიუტერული სისტემის ზომბირება და მისი კონტროლი მოხდა.

"ეროვნულ-დემოკრატიული პარტია" აღნიშნულს განიხილავს, როგორც თავდასხმას საქართველოს პოლიტიკური სისტემაზე, სადაც იარაღად გამოყენებულია კიბერტერორიზმი. "ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას" აქვს ეჭვი, რომ აღნიშნული კიბერშეტევა დაიგეგმა და განხორციელდა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სტრუქტურების მიერ.

"ეროვნულ-დემოკრატიული პარტია" გამოთქვამს აღშფოთებასა და აცხადებს მტკიცე პროტესტს მომხდარის გამო, აფასებს რა მას საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევად და მეზობელი სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ აგრესიად," - აღნიშნულია საპროტესტო წერილში, რომელსაც ხელს გურამ ჩახვაძე აწერს.

ტიმოშენკო ოპოზიციის პარტიულ სიას უდგას სათავეში

უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკო, რომელიც ხარკოვის ქალთა კოლონიაში 7-წლიან სასჯელს იხდის (უფრო ზუსტად, ამ პერიოდში ის ხარკოვის ერთ-ერთ საავადმყოფოში გერმანელი ექიმების მეთვალყურეობით მკურნალობს), ოპოზიციის გაერთიანებული პარტიის "ბატკივშჩინას" სიის სათავეში მოხვდა. ამ გადაწყვეტილებას ოპოზიციის წინასაარჩევნო სხდომაზე ერთობლივად დაუჭირეს მხარი. თუმცა, უკრაინაში არსებული კანონის შესაბამისად, არჩევნებში მონაწილეობის მიღებას თავად ტიმოშენკო ვერ შეძლებს. სიაში მეხუთე ადგილზე ქვეყნის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი იური ლუცენკოა ჩაწერილი, რომელსაც 2012 წლის თებერვალში სახელმწიფო სახსრების გაფანტვისთვის ოთხი წელი მიუსაჯეს. უკრაინაში უმაღლესი რადას არჩევნები 28 ოქტომბერს არის დანიშნული.

რომნი ისრაელის მიერ ირანზე დარტყმას "პატივისცემით მიუდგება"

დიდი ბრიტანეთის შემდეგ "რესპუბლიკელთა" კანდიდატი საპრეზიდენტო არჩევნებში მიტ რომნი ისრაელს ეწვია. მასაჩუსეტსის ყოფილი გუბერნატორის თქმით, ის პატივისცემით მოეკიდება ისრაელის ნებისმიერ ქმედებას, მათ შორის, თუ ქვეყანა საჭიროდ მიიჩნევს, ირანის ბირთვულ ობიექტებზე დარტყმასაც.

რომნი ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს იერუსალიმში მის რეზიდენციაში შეხვდა. ზოგიერთი დამკვირვებელი მიიჩნევს, რომ ისრაელის მიმართ არჩეული პოლიტიკა მას მნიშვნელოვან შტატებში გამარჯვებას მოუტანს. წინა საარჩევნო განცხადებებში რომნის არაერთხელ უთქვამს, რომ ობამა ისრაელს კი არა, მის მტრებს უჭერს მხარს. ცოტა ხნის წინათ რომნის ერთ-ერთმა მრჩეველმა განაცხადა, რომ რომნი მხარს უჭერს ისრაელის მიერ ირანის ბირთვულ ობიექტებზე დარტყმას, რათა ირანმა ბირთვულ იარაღზე მუშაობა შეაჩეროს.

ლონდონში ყოფნისას, რაც 2012 წლის ოლიმპიადის გახსნას დაემთხვა, რომნიმ ეჭვით შეხედა ოლიმპიური თამაშებისთვის ლონდონის მზადყოფნას, რითიც, ცხადია, ქვეყნის პოლიტიკოსების კრიტიკა დაიმსახურა. თუმცა, მოგვიანებით მან სიტყვები უკან წაიღო და აღნიშნა, რომ ლონდონის ოლიმპიადა "წარმატებულიც კი იქნება."

უკრაინის უმაღლესი რადა სპიკერის მოთხოვნას არ აკმაყოფილებს

უკრაინის პარლამენტმა უმაღლესი რადას სპიკერ ვლადიმირ ლიტვინის თანამდებობიდან გათავისუფლების მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. ლიტვინმა გათავისუფლების შესახებ განცხადება უმაღლესი რადას მიერ იმ კანონის მიღების შემდეგ დაწერა, რომელიც რუსული ენის სტატუსის გამყარებას ეხებოდა. აღნიშნული კანონპროექტის ხმის მიცემის დროს ლიტვინი პრეზიდენტთან თათბირზე იმყოფებოდა. მაშინ დეპუტატებმა სპიკერის გადადგომის წინააღმდეგ მისცეს ხმა, მისი შესაბამისი განცხადება ემოციურად ჩათვალეს. ლიტვინს პარლამენტის ხელმძღვანელის თანამდებობა 2008 წლის 9 დეკემბრიდან უკავია. ის რადას 2002-2006 წლებშიც ხელმძღვანელობდა. უმაღლესი რადა არც დარღვევებით მიღებული იმ სკანდალური კანონის გაუმებას დათანხმდა, რომელიც რუსულს "რეგიონული ენის" სტატუსს ანიჭებს. შესაბამისი მოთხოვნით ოპოზიციამ ოთხი პროექტი წარადგინა, მაგრამ ამ პროექტებმა ხმები ვერ მიიღეს.

მისისიპის ეკლესიაში შავკანიან წყვილს დაქორწინებაზე უარი უთხრეს

"ის, რომ ჩვენ შავები ვიყავით, მრევლის ზოგიერთ წევრს არ ესიამოვნა და გადაწყვიტეს, ამ ეკლესიაში შავკანიანები არასდროს დააქორწინონ," - განუცხადა ჩარლზ ვილსონმა "სი-ენ-ენ"-ს. ჩარლზ და ტე'ანდრეა ვილსონები დაქორწინებას მისისიპის "პირველ ბაპტისტურ" ეკლესიაში ამ თვეში გეგმავდნენ, თუმცა ბოლო მომენტში მათ უარი უთხრეს. ეს პასტორმა სტენ ვეზარდფორდმა მრევლის რამდენიმე წევრის მოთხოვნით ახსნა, რომელთაც არ სურდათ, წყვილის საქორწინო ცერემონია მათ ეკლესიაში გამართულიყო.

"ვოცნებობდი, ისეთი ქორწილი მქონოდა, როგორიც წინასწარ დავგეგმე და ჩემი ოცნება ამ ეკლესიას უკავშირდებოდა. თუმცა, საუბედუროდ ასე არ მოხდა" - აღნიშნა ტე'ანდრეა ვილსონმა.

მრევლის ზოგიერთი წევრი ეკლესიის გადაწყვეტილებას ქრისტიანული მიდგომით ხსნის (რომ პატივი სცეს უმცირესობის მოთხოვნას), თუმცა წყვილისთვის უცნაურია, ეს მიდგომა იქამდე რატომ არ გაითვალისწინეს, სანამ მათი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მომენტს ჩაშლიდნენ.

ინდოეთში მატარებელს ცეცხლი წაეკიდა, არის მსხვერპლი

ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, შტატ ანდხრა-პრადეშში მიმავალი მატარებლის ერთ-ერთ ვაგონს ცეცხლი წაეკიდა. დაიღუპა 50 და დაშავდა, დაახლოებით, 70 ადამიანი - აქედან 30-ს საკმაოდ მძიმე დამწვრობა აქვს მიღებული და მსხვერპლის რიცხვი შეიძლება, გაიზარდოს. მატარებელი დელიდან ჩენაისკენ მიემართებოდა. სავარაუდოდ მოკლე ჩართვის გამო საძინებელ ვაგონში ხანძარი მაშინ გაჩნდა, როდესაც ხალხს ეძინა. მიმავალ მატარებელში ხანძარი შეამჩნია რკინიგზის მორიგემ ერთ-ერთ გზაგასაყარზე, რის შემდეგაც მატარებელი სწრაფად შეაჩერეს ქალაქ ნელორთან ახლოს და ხანძრის ჩაქრობას შეუდგნენ. დაშავებულები ახლომდებარე საავადმყოფოებში გადაიყვანეს.

მოამზადა თამთა კახაძემ

100 დღე არჩევნებამდე ამერიკაში

პირველი გვერდიდან

იგივე მოხდება მისი საპროგრამო გამოსვლის შემდეგ პარტიის კონგრეზე, რომელიც 30 აგვისტოსაა დანიშნული. თუმცა ზუსტად ასეთივე შედეგი მოჰყვება 6 სექტემბერს დაგეგმილ ბარაკ ობამას სიტყვით გამოსვლასაც "დემოკრატიული პარტიის" ყრილობაზე შარლოტში (ჩრდილოეთ კაროლინას შტატში).

ობამა და მისი მეტოქე უკვე დიდი ხანია, თანაბრად მიდიან. "დემოკრატების" ძირიტადი სტიმულიის არის, რომ აშშ-ს დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, რომელიც, ერთი შეხედვით, დამღუპველი უნდა იყოს თეთრი სახლის მეპატრონისთვის, ობამა პოზიციებს ინარჩუნებს.

გელაპის ინსტიტუტის გამოკითხვების თანახმად, რომნი რეიტინგით უსწრებს თავის მონინააღმდეგეს: 46 პროცენტი - 45 პროცენტზე. ეს "რესპუბლიკელებისთვის"ოპტიმიზმის საფუძველია. უპირატესობა მცირეა და შეიძლება, მხოლოდ მოკლე პერიოდის განმავლობაში შენარჩუნდეს, თუმცა რომნის ბანაკის განცხადებით, ბოლო 10 საპრეზიდენტო არჩევნებიდან ცხრაში იმ კანდიდატმა გაიმარჯვა, რომელიც გელაპის გამოკითხვებით წინ იყო არჩევნებამდე 100 დღით ადრე.

რომნის შესაძლოა, არასწორი საბრძოლო ტაქტიკა აქვს არჩეული. "რესპუბლიკელების" შიდაპარტიული არჩევნების დროს მისმა საგიტაციო მანქანამ კონკურენტების წინააღმდეგ მასობრივად გამოიყენა უარყოფითი პოლიტიკური კლიპები. ის ცდილობს, ზუსტად ასე მოიქცეს ახლა ობამასთან.

პრობლემა ისაა, რომ თუ გამოკითხვებს დავუჯერებთ, ამერიკელების დიდ უმრავლესობას უკვე გაჩნია საკუთარი ჩამოყალიბებული აზრი ობამას შესახებ. თუ ნოემბრამდე განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი არაფერი მოხდა, ნაკლებ სავარაუდოა, რომ ამერიკელების დამოკიდებულება შეიცვალოს. იმავეს ვერ ვიტყვით რომნიზე. გამოკითხვების მიხედვით, მოსახლეობას მის შესახებ აზრი ჯერ კიდევ არა აქვს ჩამოყალიბებული. ისიც კი, ვისაც დიდი ხანია, დაკარგული აქვს ობამას იმედი, მიიჩნევს, რომ არ ღირს, მოქმედი პრეზიდენტი მსგავსი ვარიანტით ჩაანაცვლოს. აქედან გამომდინარე, რომნიმ არჩევნებამდე არა მარტო ის უნდა დაამტკიცოს, რომ ობამას არ ვარგა, არამედ ისიც, რომ თვითონ უკეთესი იქნება.

აშშ-ს ეკონომიკური მდგომარეობა რომნის საკეთილდღეოდ მოქმედებს. გამოკითხულთა უმეტესობა აცხადებს, რომ "რესპუბლიკელები" ეკონომიკას გაცილებით უკეთ გაუძღვებიან, ვიდრე ობამა.

პრეზიდენტის ტექნოლოგებმა დახარჯეს 100 მილიონი დოლარი იმის დასამტკიცებლად, რომ რომნი "მტაცებელი კორპორატიული რეიდერია", რომელიც სამუშაო ადგილების ექსპორტირებას ეწეოდა ქვეყნის გარეთ, ხოლო კაპიტალი ოფშორულ ბანკებში გაჰქონდა. ეკონომიკა ისევ რჩება რომნის ძლიერ მხარედ. სფერო, სადაც რომნი აგებს, საგარეო პოლიტიკაა. გელაპის უკანასკნელი მონაცემებით, ობამას ხმათა 52 პროცენტი აქვს, ხოლო მის კონკურენტს - 40 პროცენტი. დარეგისტრირებული ამომრჩევლის გამოკითხვითაც ობამა წინ, არის მაგრამ 4-პროცენტიანი სხვაობით. ობამა ათწლეულების განმავლობაში პირველი "დემოკრატია", რომელმაც ამ სფეროში "რესპუბლიკელებს" აჯობა.

აქამდე აშშ-ს საპრეზიდენტო კამპანია ეკონომიკის გარშემო ტრიალებდა, თუმცა ამჟამად დიდი მნიშვლენობა ენიჭება საგარეო პოლიტიკასაც. ამიტომაც რომნი ცდილობს, მოიპოვოს ამომრჩეველთა კონკრეტული ჯგუფების მხარდაჭერა, რომელთათვისაც საგარეო პოლიტიკას დიდი მნიშვნელობა აქვს. პირველ რიგში, ესენი არიან ამერიკელი ებრაელები, რომელთაც ისრაელის ბედი გულთან ახლოს მიაქვთ და პოლონური წარმოშობის ამერიკელები, რომელთაც შესაძლოა, გადაწყვიტონ გამარჯვებულის ვინაობა მიჩიგანის და პენსილვანიის შტატებში.

ცივი ომის ეპოქისგან განსხვავებით, რუსეთი არ თამაშობს მნიშვნელოვან როლს წინასაარჩევნო კამპანიაში. მარტში, პრეზიდენტის ბანაკში სიტყვით გამოსვლისას რომნიმ განაცხადა, რომ ამერიკისთვის რუსეთი "ნომერი პირველი გეოპოლიტიკური მტერია", რასაც პრეზიდენტის ბანაკიდან უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა, თუმცა ეს ეპიზოდი მალევე დაივიწყეს. საინტერესოა, გაიმეორებს თუ არა იმავეს რომნი ვარშავაში. ამერიკელი კომენტატორების განცხადებით, ასეთი სიტყვები პოლონელებს ასიამოვნებს.

"ვაშინგტონ პოსტის" მიმომხილველი სკოტ კლემენსი მარტში წერდა, რომ 21-ე საუკუნეში ცოტა ამერიკელი თუ მიიჩნევს რუსეთს ამერიკის მტრად. 1980-იან წლებში ჰარისის კვლევებმა აჩვენა, რომ ამერიკელების 93 პროცენტი საბჭოთა კავშირს არ მიიჩნევდა მეგობრად. 1990 წელს კი მხოლოდ მოსახლეობის 32 პროცენტი ფიქრობდა, რომ საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა ყველაზე დიდ საფრთხეს აშშ-სთვის. ხოლო უკვე 1993 წელს ამერიკელების 2/3 ამბობდა, რომ რუსეთს ისე აღიქვამენ, როგორც მოკავშირეს და მეგობარს.

ამერიკელების უმრავლესობა დღეს რუსეთს არ მიიჩნევს მოწინააღმდეგედ. მას მოსისხლე მტრად აღიქვამს მოსახლეობის 2 პროცენტი, ხოლო "მოკავშირედ" - 20 პროცენტზე ნაკლები. რა თქმა უნდა, ეს რეიტინგი ცვალებადია. აშშ-ში რუსეთის რეიტინგი დაეცა 2008 წელს, რუსეთის-საქართველოს კონფლიქტის დროს. შემდეგ კი ისევ გაიზარდა. გელეპის თებერვლის გამოკითხვების მიხედვით, ამერიკელების ნახევარი რუსეთს დადებითად აფასებს. საქმე ის არის, რომ ცივი ომის დროინდელი უთანხმოება ამერიკელების მეხსიერებიდან ნელ-ნელა იშლება. გასული წლის მაისში "სი-ენ-ენ"-მა აჩვენა, რომ 50 წელს გადაცილებული ამერიკელების 47 პროცენტის აზრით, რუსეთი არამეგობრულადაა განწყობილი აშშ-ს მიმართ. თუმცა ამ მოსაზრებას არ ეთანხმებოდა ახალგაზდრობის 70 პროცენტი. გელეპის გამოკითხვების მიხედვით, ამერიკელების მხოლოდ 1 პროცენტი ვარაუდობს, რომ 20 წლის შემდეგ რუსეთი გახდება მსოფლიოს წამყვანი ეკონომიკური სუპერსახელმწიფო. ამერიკელების უმრავლესობა ყველაზე დიდ ეკონომიკურ საფრთხეს ჩინეთიდან ხედავენ.

რომნი ადანაშაულებს ობამას, რომ ის "კოჭს უგორებს" მოსკოვს, როდესაც ნაწილობრივ უარს ამბობს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ელემენტების პოლონეთსა და ჩეხეთში განთავსებაზე.

როგორც მოსალოდნელი იყო, რომნი თბილად მიიღეს ისრაელში, თუმცა ჯერ კიდევ გასარკვევია, მოუტანს თუ არა ეს დამატებით ხმებს მას ამერიკელ ებრაელებში, რომლებიც უკვე დიდი ხანია, "დემოკრატებს" უჭერენ მხარს. 2008 წელს მათმა 78 პროცენტმა ობამას მისცა ხმა. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბოლო დროს ობამამ არერთხელ გაუცრუა იმედები ისრაელის მხარდამჭერებს, ხოლო ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუსთან დროდადრო ძალიან ცუდი დამოკიდებულება აქვს. ცნობილმა კომენტატორმა ჩარლზ კრაუტჰამერმა ცოტა ხნის წინ ტელევიზიით განაცხადა, რომ ისრაელის მხარდამჭერი არც ერთი ამერიკელი არ დაუჭერს მხარს ობამას არჩევას, თუ ბოლო სამნახევარი წელი კომაში არ არის ნამყოფი." შესაძლოა, საუბარი იყოს კონსერვატორ-ქრისტიანებზე, რომლებიც ისრაელის ერთ-ერთი ყველაზე მხურვალე მხარდამჭერები არიან. თუმცა მიუხედავად ყველაფრისა, გელეპის მონაცემებით, ებრაელების 68 პროცენტი მაინც ობამას მხარდამჭერია.

რუმინეთში ბესესკუს იმპიჩმენტი ჩავარდა

ივა შილაკაძე

კვირას რუმინეთში ამომრჩეველთა დაბალი აქტიურობის გამო ჩავარდა რეფერენდუმი, რომელსაც ქვეყნის პრეზიდენტ ტრაიან ბესესკუს იმპიჩმენტის საკითხი უნდა გადაეწყვიტა. როგორც ჩანს, პოლიტიკურ ოპონენტებს ბესესკუს თანამდებობიდან გადაყენება აღარ გამოუვათ. რუმინეთის საარჩევნო ბიუროს მონაცემებით, ხმის მისაცემად გამოცხადდა საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა 45,9 პროცენტი. კანონით კი, რეფერენდუმი ჩატარებულად მიიჩნევა, თუ მასში ელექტორატის 50 პროცენტი მაინც მიიღებს მონაწილეობას.

საარჩევნო ბიუროს მონაცემები ჯერ არ გამოქვეყნებულა, მაგრამ სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგების თანახმად, რეფერენდუმში მონაწილეთა დიდმა უმრავლესობამ - 86-მა პროცენტმა პრეზიდენტის გადაყენებას დაუჭირა მხარი, ამის წინააღმდეგი იყო მხოლოდ 13 პროცენტი. ეს არც არის გასაკვირი, რადგან რეფერენდუმში, ძირთადად, სწორედ ბესესკუს ოპონენტებმი მონაწილეობდნენ. თვითონ პრეზიდენტი ბესესკუ თავის მომხრეებს ბოიკოტისკენ მოუწოდებდა, თუმცა თავიდან გააკეთებულ განცხადებაში ხალხს მიმართა, ხმა მიეცათ მისი გადაყენების წინააღმდეგ. ბოიკოტისკენ მოუწოდებდა მოსახლეობას აგრეთვე ლიბერალ-დემოკრატების ოპოზიციური პარტია. მიმომხილველების აზრით, ამომრჩეველზე იმოქმედა აგრეთვე ზაფხულის სიცხემ, რასაც შვებულებების პერიოდიც დაემთხვა და რუმინეთის პოლიტიკური ელიტის მიმართ მზარდმა უნდობლობამ. რეფერენდუმის შემდეგ თავის კომენტარში ტრაიან ბესესკუმ განაცხადა, რომ "რუმინელებმა უარყვეს სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც ორგანიზებული იყო 258 დეპუტატის მიერ, პრემიერ-მინისტრ ვიქტორ პონტას და სენატის თავმჯდომარე კრინ ანტონესკუს ხელმძღვანელობით. დღეს ხალხმა მხარი დაუჭირა კურსს ევროპისკენ". ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში ის უფრო კონკრეტული იყო: "რუმინელებმა ჩააგდეს რეფერენდუმი მასში არმონაწილეობით."

კრინ ანტონესკუმ, რომელიც დროებით ასრულებს პრეზიდენტის მოვალეობებს, რეფერენდუმის ჩავარდნა დააბრალა შვებულებების პერიოდს და პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ მოწოდებას პლებისციტის ბოიკოტზე.

პარლამენტმა პრეზიდენტ ბესესკუს, რომელიც უკვე მეორე ვადით არის ამ თანამდებობაზე, იმპიჩმენტი ივლისის დასაწყისში გამოუცხადა. ამ გადაწყვეტილებას 432 დეპუტატიდან მხარი დაუჭირა 258-მა, წინააღმდეგი წავიდა - 114 დეპუტატი. მემარჯვენე ცენტრისტ ტრაიან ბესესკუს გადაყენების ინიციატორი იყო მემარცხენე-ცენტრისტული კოალიცია. მათ პრეზიდენტის საქმიანობაზე დეტალური მოხსენება მოამზადეს და ბესესკუს კონსტიტუციის დარღვევაში დასდეს ბრალი.

პრეზიდენტისა და პრემიერის დაპირისპირების მთავარი საგანია მიდგომა ეკონომიკური კრიზისისადმი. ბესესკუ ევროკავშირისგან დახმარების მიღების და მათი პირობების დაკმაყოფილების მომხრეა - ეს გულისხმობს მკაცრი ეკონომიის ზომების შემოღებას. ამ პოზიციის გამო პრეზიდენტის რეიტინგმა ორიოდე თვის წინ მნიშვნელოვნად დაიკლო. სოციოლოგიური გამოკითხვებით, მაშინ ბესესკუს გადაყენებას მოსახლეობის 65 პროცენტი უჭერდა მხარს. როგორც ჩანს, ამის იმედით წამოიწყეს მემარცხენე ცენტრისტებმა იმპიჩმენტის პროცედურა. თუმცა შემდეგ სიტუაცია ნაწილობრივ შეიცვალა. საპრეზიდენტო განწყობის შენარჩუნებას ხელი შეუშალა სკანდალებმა, რომლებმაც ზიანი მიაყენა პრემიერის რეპუტაციას. ვიქტორ პონტას ბრალი დასდეს პლაგიატში. გარდა ამისა, მან ეჭვქვეშ დააყენა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება - დაუზუსტებელი მონაცემებით. ის ემუქრებოდა იმ მოსამართლეებს, რომლებიც რომლებიც პრეზიდენტის მომხრეებად მიიჩნეოდნენ.

ამან, კერძოდ კი იმპიჩმენტის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილებამ ევროკავშირის, მისი წევრი სახელმწიფოების და აშშ-ს ლიდერების მკვეთრად უარყოფითი რეაქციაც გამოიწვია. ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ჰერმან ვან რომპეიმ "შეშფოთება გამოთქვა" იმის გამო, რომ პოლიტიკური კრიზისი რუმინეთში სერიოზულ კითხვებს აჩენს ამ ქვეყანაში "კანონის უზენაესობისა და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის" მიმართ. მათ ეს გადაწყვეტილება პოლიტიკური დაპირისპირების შედეგად მიიჩნიეს და რეალურად ასეც არის, რადგან კონკრეტული და სერიოზული დანაშაულის ჩადენაში პრეზიდენტისთვის ბრალი არც წაუყენებიათ (კონსტიტუციის დარღვევა ძალიან ფართო ცნებაა, საჭირო იყო დაკონკრეტება და, ცხადია, დასაბუთება). მაგალითად, გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა რუმინეთის პარლამენტის გადაწყვეტილებას "მიუღებელი და კანონის უზენაესობის ფუნდამენტური პრინციპების დარღვევა" უწოდა.

პოლიტიკურმა კრიზისმა გამოიწვია ისიც, რომ შეფერხდა მოლაპარაკებები ევროკავშირთან და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან რუმინეთისთვის დახმარების გამოყოფაზე.

საინტერესოა, რომ, 2007 წელს, ბესესკუს მმართველობის პირველი პერიოდის დროს, რუმინეთში მსგავსი მოვლენები განვითარდა. მაშინ დეპუტატებმა მემარცხენე კოალიციიდან ბესესკუს ბრალი დასდეს კონსტიტუციის დარღვევაში, "ტოტალიტარული მიდრეკილებების" გამოვლენაში, მთავრობის წევრების ტელეფონების მოსმენაში, კორუფციაში და რუმინეთის იმიჯის შელახვაში საერთაშორისო არენაზე. მაშინაც საქმე რფერენდუმამდე მივიდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ხმის უფლების მქონე 18 მილიონი რუმინელის 30 პროცენტზე ოდნავ მეტმა. საარჩევნო უბნებზე მისულებიდან 74 პროცენტმა პრეზიდენტის გადადგომას დაუჭირა მხარი. 2009 წლის დეკემბერში კი ბესესკუ მეორე ვადით აირჩიეს პრეზიდენტად.

"საბას" ნომინანტები და გამარჯვებულები ვირტუალურ სივრცეში

პირველი გვერდიდან

თანამედროვე ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა, მთელი ჩვენი ბიბლიოთეკა ერთ პატარა ელექტრონულ მოწყობილებაში - ნოუთბუქში, iPhone-ში, iPad-ში, Kindle-ში მოვათავსოთ და თან ვატაროთ. მცირე ზომის ელექტრო მკითხველებში 5000-მდე წიგნის შენახვაა შესაძლებელი.

ელექტრონული წიგნების სახლი "საბა" საშუალებას გვაძლევს შევიძინოთ ელექტრონული წიგნები და შექმნათ საკუთარი ბიბლიოთეკა, წავიკითხოთ წიგნები ნებისმიერ დროსა და ადგილას, ნებისმიერი მონიტორით. გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრებები ამა თუ იმ წიგნის ან ავტორის შესახებ და გავუზიაროთ ეს მოსაზრებები საიტის სხვა სტუმრებს.

იმისთვის, რომ ელექტრონული წიგნების სახლით ვისარგებლოთ, უნდა დავრეგისტრირდეთ ფეისბუქის სახელითა და პაროლით, ან გავიაროთ ავტორიზაციისა და რეგისტრაციის პროცედურები, რის შემდეგაც გაიხსნება ჩვენი ვირტუალური ბიბლიოთეკა.

სასურველი წიგნის შეძენა შესაძლებელია ნებისმიერი ბანკის VISA ან MasterCard ბარათით.

სანამ სასურველ წიგნს შევიძენთ, "საბა" საშუალებას გაძლევთ უფასოდ წავიკითხოთ წიგნის ფრაგმენტი და არჩევანი გავაკეთოთ ჩამოტვირთვების რაოდენობის, სხვა მკითხველების რეცენზიებისა თუ კომენტარების საფუძველზე.

შეძენილი წიგნი ავტომატურად მოთავსდება ჩვენს ბიბლიოთეკაში, ვირტუალურ "თაროზე".

საკუთარი პაროლის საშუალებით, ჩვენ ასევე შეგვიძლია ვესტუმროთ ჩვენს ბიბლიოთეკას ინტერნეტში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერით და წავიკითხოთ საკუთარ თაროზე განთავსებული შეძენილი წიგნები.

სულ მალე, "საბას" წიგნების წაკითხვა შესაძლებელი გახდება ასევე iPad და iPhone მოწყობილობით.

შეძენილი წიგნების წაკითხვას, პერსონალური კომპიუტერით ან ლეპტოპით, ინტერნეტის გარეშეც შევძლებთ, ერთჯერადი სინქრონიზაციის შემდეგ. ამისათვის უფასოდ გადმოტვირთეთ Windows წამკითხველი Saba Reader.

Saba Reader საშუალებას გაძლევთ მოვინიშნოთ ჩვენთვის საყვარელი ციტატები, დავურთოთ კომენტარები და გაუზიაროთ ჩვენს ფეისბუქის მეგობრებს მოსაზრებები.

ასევე შესაძლებელია დავწეროთ კომენტარი ან რეცენზია ამა თუ იმ ნაწარმოების შესახებ, გამოვხატოთ მოწონება (Like) და შევაფასოთ წიგნები ხუთვარსკვლავიანი სარეიტინგო სისტემით.

ელექტრონული წიგნების სახლში "საბა" განთავსებული წიგნები დაცულია პირატული გავრცელებისგან - მომხმარებელს არ შეუძლია დააკოპიროს და გაავრცელოს შეძენილი წიგნი, შეზღუდულია წიგნის კოპირების საშუალებები.

24 საათი

ეროვნული ბიბლიოთეკა ელექტრონულ ბაზებს ზრდის

ბელა ჩეკურიშვილი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრო ბაზებზე საუბრისას, გაციფრებულ წიგნებთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ბიბლიოგრაფიული საძიებლები, რაც მკითხველს მასალათა მოძებნაში დაეხმარება.

ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილებას სხვადასხვა მიმართულების ბიბლიოგრაფიული საძიებლების შექმნის დიდი ტრადიცია აქვს - მისმა თანამშრომლებმა ქართული პრესის ანალიტიკური აღწერა გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყეს. საუკუნისწინანდელი ქართული პრესა საინტერესო წყარო იყო ისტორიკოსების, ეთნოგრაფების, ენათმეცნიერების, ჟურნალისტების თუ პოლიტოლოგებისათვის, რადგან იგი ზუსტად ასახავდა საზოგადოების ცხოვრებას. მკითხველსათვის ინფორმაციის მოძიება იმდენად რთული იყო, რომ ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილებამ გადაწყვიტა, ანალიტიკურ-ბიბლიოგრაფიული საძიებელი შეედგინა.

საქმე, რომელიც კოლოსალურ შრომას მოიცავს, 1819 წელს საქართველოში გამოცემული პირველი გაზეთით და 1832 წელს გამოცემული პირველი ჟურნალით დაიწყო და გულისხმობდა ჟურნალისა თუ გაზეთის ყოველ ნომერში გამოქვეყნებული თითოეული სტატიის აღწერას ავტორის, ანოტაციის, თარიღისა და გვერდის მითითებით. 1960-იანი წლებიდან საძიებლებმა ბეჭდური სახით დაიწყო გამოსვლა და 11 ტომი შეადგინა, საიდანაც 3 ჟურნელების, 8 კი პრესის ბიბლიოგრაფიას მოიცავს. ქართველოლოგიის განყოფილების თანამშრომლებმა პრესის ისტორია 1904 წლამდე დაამუშავეს. რამდენიმე წლის წინ კი, მას შემდეგ რაც ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ელექტრონული ბაზების შექმნა დაიწყო, მის ოფიციალურ ვებგვერდზე წიგნებთან ერთად სწორედ პრესის ანალიტიკური აღწერილობა აიტვირთა, რომელზეც მუშაობა კვლავაც გრძელდება. დღეისათვის აღწერილია 1909 წლამდე საქართველოში გამოცემული გაზეთების მასალა - სტატიები, განცხადებები, სიახლეები, ვრცელიც და მცირეც, ხოლო ჟურნალების ბიბლიოგრაფია 1921 წლამდე შეგიძლიათ ნახოთ, ხელმისაწვდომია ნებისმიერი მკითხველისათვის, ნებისმიერი კუთხიდან და ქვეყნიდან.

ქართველოლოგიის განყოფილებაში იგივე მეთოდით მუშავდება კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები, რომელიც 1866 წლიდან 1904 წლამდე 12 ტომად გამოიცა და შეიცავს ისტორიულ, არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ მასალას და მნიშვნელოვანი წყაროა ისტორიკოსებისათვის. დაინტერესებულ მკითხველს, ეროვნული ბიბლიოთეკის ვებგვერდზე შეუძლია უკვე იხილოს "აქტების" პირველი ტომი.

ჟანა ქვათაძე, ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილების უფროსი: "ჩვენი განყოფილების ფონდში დაცულია კოლექცია, რომელიც მოიცავს საქართველოს შესახებ გამოცემულ წიგნებს. ეს სხვადასხვა ენაზე და ქვეყანაში გამოცემული წიგნებია, სხვადასხვა თემატიკისა და მიმართულების. მკითხველთა მოთხოვნებისა და ინტერესის გათვალისწინებით, რამდენიმე წელია დავიწყეთ ქართველოლოგიურ წიგნებსა და კრებულებში შესული ფოტომასალის აღწერილობის გაკეთება, პარალელურად კი, ფსევდონიმების ლექსიკონის შექმნაზე მუშაობა. მიქაძის, გრიშაშვილისა და სხვა უკვე არსებული ლექსიკონების მასალას დავუმატეთ ჩვენ მიერ მოძიებული, პრესისა თუ წიგნების აღწერისას აღმოჩენილი ფსევდონიმები. ლექსიკონი დღეს უკვე 100 ათასამდე ჩანაწერს მოიცავს. ლექსიკონებზე საუბარი ალბათ საქართელოს ისტორიულ ძეგლთა ბიბლიოგრაფიული ლექსიკონით უნდა დავასრულოთ. მოგეხსენებათ, ისტორიულ ძეგლებზე უამრავი ჩანაწერი არსებობს. ჩვენ თავი მოვუყარეთ წიგნების, ჟურნალების, გაზეთების თუ კრებულების მასალას. ლექსიკონში შესულია საქართველოში არსებული საეკლესიო თუ საერო დანიშნულების ყველა ნაგებობა - ტაძრები, მონასტრები, ციხე-კოშკები, ხიდები და სხვა".

თუმცა კი, ქართველოლოგიის განყოფილება საქმიანობას ამით არ ასრულებს - 2-3 თვეა დაიწყო ახალ ელექტრონულ რესურსზე მუშაობა, რომელსაც ჰქვია "ქართველები უცხოეთში". სხვადასხვა ეპოქასა და სფეროში უცხოეთში მოღვაწე ქართველების შესახებ ბოლო პერიოდში ჩვენმა საზოგადოებამ უკვე ორი ენციკლოპედიური ნაშრომი მიიღო, მაგრამ რაც არ უნდა დიდტანიანი წიგნები გამოვცეთ, შეუძლებელია, წიგნმა ყველაფერი დაიტიოს. ქართველოლოგიის განყოფილების წიგნსაცავში ცალკე თემადაა გამოყოფილი "გარე ქართველები" - ეს გასული საუკუნის ტერმინია. უცხოეთში მოღვაწე ქართველების საძიებლის შექმნა სწორედ მის ბაზაზე დაიწყო, სადაც შევა წარსულსა თუ აწმყოში მოღვაწე ყველა ის პიროვნება, რომელმაც რაღაცით დაამახსოვრა თავი უცხოეთს. მოძიება ანბანის მიხედვით ხდება და ყოველი სახელის გასწვრივ, ზუსტად არის მითითებული, მათი ოფიციალური სახელი, დაბადებისა და გარდაცვალების თარიღი, დაკრძალვის ადგილი, პროფესია და საქმიანობა, რასაც მოსდევს ბიოგრაფიული ისტორიები. ბაზის შევსება ნაწილ-ნაწილ ხდება, ეპოქისა და ქვეყნების გაუთვალისწინებლად. მკითხველს უკვე შეუძლია გაეცნოს მე-19 საუკუნეში, სტამბოლის ქართულ სავანეში მოღვაწე ქართველი მონაზონის, ელისაბედ ბეჟანიძის ბიოგაფიას და მის გვერდით ბოგდან გურჯიცკის - მე-17 საუკუნის პოლიტიკურ მოღვაწის, როსტომ მეფის ელჩის ირანსა და პოლონეთში, ხოლო იქვე პეტრე მერაბიშვილის, იგივე დოქტორ მერაბის - ეთიოპიაში მოღვაწე ექიმის, ელისო დადიანის, შალვა ვარდიძის. ენციკლოპედია გვიყვება თუქეთში მოღვაწე ბიზნესმენების - პავლე და სიმონ ზაზაძეებზე, რომელთა დამსახურებით არსებობდა და არსებობს სტამბოლის ქართული სავანე, წაიკითხავთ ცნობილი ბალერინასა და დიზაინერის თამარა გამსახურდია დე კობის და აჰმედ მელაშვილის ცხოვრებაზე. ეს ის აჰმედ მელაშვილია, რომელმაც პირველმა გააცნო მე-20 საუკუნის თურქეთის ქართველობას საქართველო თავისი წიგნით "გურჯისტანი", რომელიც საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების დახმარებით დაწერა. და თუ მერი შერვაშიძის, ნიკო ბურის, გრიგოლ ფერაძის, მიხაკო წერეთლის სახელები ცნობილია ქართველი საზოგადოებისათვის, პეტრე ხარისჭირაშვილის სახელი - კათოლიკე აბატის და კონსტანტინოპოლის ქართული კათოლიკური ეკლესიის დამარსებლის შესახებ ძალიან ცოტას თუ სმენია.

უცხოეთში მოღვაწე ქართველები ის ამოუწურავი თემაა, რომელიც კიდევ დიდხანს იქნება კვლევისა და აღმოჩენების საგანი. ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონულ ბაზა იმითაც არის საინტერესო, რომ მასში არა მხოლოდ გარდაცვლილი მოღვაწეების, ჩვენი თანამედროვე ემიგრანტების შესახებაც შეგვეძლება ინფორმაციის მოძიება.

europe-bet.com

"ლონდონი 2012"-ს ნარმოგიდგენთ

ლონდონში ვეძებთ საქართველოს

გიგა გურასაშვილი
ლონდონიდან

პატარა ქვეყნების სინდრომია უცხო ქვეყანაში აღმოაჩინო ის, რაც შენს სამშობლოსთან გაკავშირებს. ამ მხრივ არც ჩვენ ვართ გამონაკლისი. შესაძლოა, უფრო გამძაფრებულიც გვაქვს ეს სინდრომი. ვეძებთ საქართველოს.

ლონდონის ცენტრალურ ქუჩებზე მასპინძლებმა თამაშებში მონაწილე ქვეყნების დროშები გაშალეს. მეც დავიწყე ხუთჯვრიანი დროშის ძებნა. ერთ მყუდრო ქუჩაზე (ქონდუით სთრითზე) მივაგენი. საქართველოს დროშა ინგლისის პარლამენტის მახლობლად, სკვერშიც ვიპოვე. ყველაზე დიდი დროშა კი ლაშა შავდათუაშვილმა აღმართა და საქართველოს ჰიმნიც ააჟღერა.

ოლიმპიური თამაშებზე მიღებული პრაქტიკაა: ქვეყნებმა საკუთარი კუთხე მოაწყონ. უფრო სწორად, იჯარით აიღონ გარკვეული ფართობი და იქ ქვეყნის ისტორია, კულტურა და სპორტი შეიტანონ, დამთვალიერებელს კი გააცნონ ქვეყნის მიღწევები. ერთი ასეთი კუთხე - ქართული სახლი - ლონდონში ჩვენც გვაქვს, რომლის გახსნის საზეიმო ცერემონია კვირა საღამოს გაიმართა. მასზე მოგვიანებით მოგიყვებით, მანამდე კი საქართველოს ძებნას ვაგრძელებ.

ქართული ღვინო? ღვინო ჩვენთვის ერთგვარი სახელმწიფო სიმბოლოა და მეც მას ვეძებ. თუმცა, ბევრს ვერაფერს მივაგენი. თუ აქ რომელიმე დიდი სუპერმარკეტების ქსელია, მის დახლებზე ქართულ ღვინოს ვერ იპოვით. ვერც სხვა ქართულ ნაწარმს. ერთადერთი ადგილი, სადაც შეიძლება ქართულ ღვინოს გადაეყაროთ, ისევ და ისევ რუსული მინიმარკეტებია, მაგრამ დიდი არჩევანი არც აქ აქვთ. ასორტიმენტში მხოლოდ "მარანის" ღვინოები და ამავე კომპანიის ჭაჭაა, რომლის ფასი დაახლოებით 20 ფუნტი სტერლინგია. სასიამოვნო მხოლოდ ის იყო, რომ მაღაზია "კალინკას" მეპატრონეებს ქართული ღვინოები თვალსაჩინო ადგილზე ჩაემწკრივებინათ. აქვე იყიდება "ბორჯომიც". თუ ქართული ღვინო გინდათ გასინჯოთ, ქართულ რესტორან "მიმინოში" უნდა მიბრძანდეთ.

სიურპრიზი იყო დახლზე რამდენიმე თავი სულუგუნიც, რომლის შეფუთვამ, ცოტა არ იყოს, დამაეჭვა (თითო თავი 400 გრამს იწონიდა და ღირდა 6.99 ფუნტი სტერლინგი). ბოლოს, როგორც იქნა, ვიპოვე წარწერა წვრილი შრიფტით: "დამზადებულია გერმანიაში", რამაც კიდევ უფრო დამაბნია. დაბნეულს მაღაზიაში შემოსული ერთი კლიენტი მომიახლოვდა და ვითარებაში ჩემ გარკვევას შეეცადა. ბრიტანეთის სანიტარიული სამსახური კუნძულზე მხოლოდ იმ პროდუქციას უნთებს შუქს, რომელიც ევროკავშირშია წარმოებული. იმის გამო, რომ საქართველო ჯერ არ სარგებლობს ასეთი სტატუსით, სულუგუნის შემომტანები იძულებული არიან პროდუქცია იქ აწარმოონ, საიდანაც მისი შემოტანა ქვეყანაში პრობლემა არ იქნება.

ქართული სიხარული ქართულ სახლში

ოლიმპიურ ჩემპიონს წარმატება გია ნაცვლიშვილმა მიულოცა

რძის ნაწარმიდან ყურმოკრულზე გადავალ. ადგილობრივი ქართველების თქმით, ლონდონში საქართველოში ჩამოსხმული "კოკა კოლა" და საქართველოშივე დაფასოებული "ნესკაფეც" იყიდება!

საქართველოს ძებნაში ქართული სახლის გახსნაზე წასვლის დროც მოვიდა. დამთხვევაც ამას ჰქვია. გახსნა ლაშა შავდათუაშვილის ჩემპიონობას დაემთხვა, რაც იმის წინაპირობა იყო, რომ საღამო ამაყად და მხიარულად ჩაივლიდა. ვარაუდი გამართლდა. სტუმრები ერთმანეთთან მისალმებას მილოცვით იწყებდნენ. "შვიდკაცამ" მრავალჟამიერი დაადგუგუნა, მოცეკვავეთა ანსამბლმა "კავკასიონმა" ცეცხლი დაანთო, საპატიო სტუმრებმა ქართული კერძები და ღვინო დააგემოვნეს. გაეცნენ ქართულ კულტურას. განსაკუთრებით მოიხიბლნენ ფიროსმანის "მეთევზით", რომელიც, ჩემდა გასაკვირად, ორიგინალი აღმოჩნდა.

გუშინდელი წვეულების კულმინაციად იქცა ოლიმპიური ჩემპიონის ლაშა შავდათუაშვილისა და ძიუდოისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის პეტერ ზაიზენბახერის შემოსვლა. მილოცვები, მილოცვები, მილოცვები... 20 წლის ოლიმპიურ ჩემპიონს და თავად ოლიმპიურ ჩემპიონ მწვრთნელს დარბაზში მყოფნი ოვაციით შეეგებნენ. დღეს ქართულ სახლში ქართული ღვინის გამოფენა-დეგუსტაციის დღეა. უამრავ სტუმარს ელოდებიან.

ტატალაშვილს არ გაუმართლა

კახა ფაჩუაშვილი
ლონდონიდან

ძიუდოს ტურნირის მესამე დღე ჩვენთვის წარუმატებელი გამოდგა. ნუგზარ ტატალაშვილს 73 კგ. წონაში მსოფლიო რეიტინგის პირველი ნომერი, სამხრეთკორეელი ვანგ კი ჩუნი ერგო მეტოქედ და მასთან თანაბარ ჭიდილში დამარცხდა. არადა, საქმე შეიძლებოდა სხვაგვარად წარმართულიყო. ის იუკო, რომლის ხარჯზეც კორეელმა გაიმარჯვა, შეიძლებოდა არც დაფიქსირებულიყო და შემდეგში რა მოხდებოდა, არავინ იცის. ამის შესახებ კომენტარი გააკეთა საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწემ გიორგი ვაზაგაშვილმა.

"საწყენია, რომ ასე მოხდა. ის იუკო შეიძლებოდა არ დაფიქსირებულიყო, რადგან ტატალაშვილს მხარი არ დაუდია. მსაჯებმა, სამწუხაროდ, სხვაგვარად განსაჯეს. ვერ ვიტყვი, რომ ტატალაშვილის წაგება მთლიანად მსაჯების ბრალია, მაგრამ იმ მომენტში არბიტრებს შეეძლოთ ნუგზარის დანდობა. რაც შეეხება სამხრეთკორეელს, ის რეიტინგის პირველი ნომერი და ტურნირის ფავორიტია", - განაცხადა გიორგი ვაზაგაშვილმა.

მსაჯების საკითხი საერთოდ ცალკე თემაა. გუშინ ისეთი სკანდალური ფაქტი მოხდა, რომლის მსგავსი არც მე და არც ძიუდოს სტაჟიან ქომაგს უნახავს სადმე. მეოთხედფინალში იაპონელი მსოფლიო ჩემპიონის ებინუმასა და სამხრეთკორეელი ჩო იუნ ჰოს პაექრობაში მსაჯებმა ორჯერ შეცვალეს გადაწყვეტილება. ჯერ კორეელის გამარჯვება დააფიქსირეს, შემდეგ კი ერთხმად იაპონელს დაუჭირეს მხარი და საბოლოოდ ებინუმა ნახევარფინალში გაამწესეს, სადაც ლაშა შავდათუაშვილმა 2.11 წუთში ბეჭებზე გააკრა. კორეელი და იაპონელი მესამე ადგილზე გავიდნენ, მაგრამ მსაჯები, ვინც ამ შეხვედრას სჯიდნენ, ტურნირიდან მოკვეთეს და დისკვალიფიკაციით დასაჯეს.

"მსაჯობის თემა ძალიან მტკივნეულია. პრინციპში, ასე იყო ყოველთვის და ახლაც ასეა. არბიტრები ხშირად სცოდავენ, რაც შედეგზე აისახება. ამის გამო იმ სკანდალური შეხვედრის მსაჯები ტურნირიდან მოკვეთეს. ძიუდო არაორდინარული სპორტის სახეობაა. აქ შეცდომის გამოსწორება ძალიან ძნელია. მაგალითად, თავისუფალ ჭიდაობაში არის 2-3- ქულიანი გდებები, შეგიძლია მდგომარეობა გამოასწორო, მაგრამ ძიუდოში თუ ვაზარი ან იპონი არ განახორციელე, გარდატეხას ვერ შეიტან", - განმარტავს გიორგი ვაზაგაშვილი.

- ბატონო გიორგი, ეს შეიძლება ითქვას შუკვანზეც, რომელსაც თითქმის მოგებული ბრძოლა გამოეცალა ხელიდან.

- მართალია, სწორედ ასეა. შუკვანს ფრანგ სოფიენთან ბრძოლა მიჰყავდა. თუ გახსოვთ, იყო ერთი გდებაც შუკვანის შესრულებით, რომელიც მსაჯებმა რეაგირების გარეშე დატოვეს. ის რომ ჩაეთვალათ, ბეთქილ შუკვანს შეიძლება დღეს მედალი ჰქონოდა. ბოლო წამებზე კი ბეთქილს ერთი ილეთი გამოეპარა მხედველობიდან და თამაშებსაც დაემშვიდობა. სიმართლე გითხრათ, გული მწყდება. ვფიქრობდი, რომ შუკვანი მედლის კანდიდატი იყო. ასეც იქნებოდა, ის მცირე ლაფსუსები რომ არ ყოფილიყო.

- ესე იგი, ჯობდა, მეტი აგრესიულობა გამოეჩინა, როგორც ეს ლაშა შავდათუაშვილმა გააკეთა და მეტად გაერისკა, რითიც განაცვიფრა ძიუდოს სამყარო?

- ლაშა საერთოდ სხვა თემაა. ასეთი ახალგაზრდა, რისკიანი და აგრესიული ძიუდოისტი ჯერ ოლიმპიურ თამაშებზე არ ყოფილა. ლაშას დიდი პლუსი სწორედ ეს თვისებებია. ძალიან ძლიერი სპორტსმენია და მისგან მედალს ველოდით. არ ვიცი, რომელი სინჯის, მაგრამ მედალს ვვარაუდობდით.

- ლაშა იმ გამოცდილ ძიუდოისტებთან შედარებით ბავშვივით გამოიყურება. როცა შენ წინაშე ბავშვს ხედავ, ფიქრობ, რომ შეჭამ, ხოლო როცა ეს ბავშვი აგრესიული ხდება, იბნევი და ვიდრე გონს მოხვალ, მარცხდები...

- სწორი შეფასებაა. მეც ასე ვფიქრობ. ლაშამ თავისი აგრესიულობით დააბნია მეტოქეები. არ მისცა მათ საშუალება, თავიანთი ტაქტიკით ემოქმედათ. ლაშა არ შეეპუა მსოფლიო ჩემპიონ ებინუმას და ის 2 წუთში ტატამზე დასცა იპონით, ფინალში კი ევროპის ჩემპიონ უნგვარსაც მოუგო. ეს ხუმრობა არ არის. 20 წლის ჭაბუკმა ზედიზედ დაამარცხა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი. ეს სულ იმ აგრესიულობის გამო მოხდა.

- ბატონო გიორგი, ჭრიკიშვილის დრო დადგა. 81 კგ. წონით კატეგორიაში მისი მეტოქე ხორვატი ტომისლავ მარიანოვიჩი იქნება.

- ავთანდილ ჭრიკიშვილს კენჭისყრაში გაუმართლა. იაპონელ ტაკაჰირო ნაკაის მხოლოდ ნახევარფინალში გადაეყრება. მანამდე კი აღიარებულ ლიდერებს არ ხვდება. იმედი ვიქონიოთ, რომ მედლისთვის იბრძოლებს.

მედლების Top 10

	I	II	III	სულ
1. ჩინეთი	**8**	**4**	**2**	**14**
2. აშშ	3	5	5	13
3. იტალია	2	4	2	8
4. საფრანგეთი	2	1	3	6
5. სამ. კორეა	2	1	2	5
6. რუსეთი	2	0	3	5
7. ჩრდ. კორეა	2	0	1	3
8. ყაზახეთი	2	0	0	2
9. იაპონია	1	3	3	7
10. რუმინეთი	1	2	0	3
15. საქართველო	**1**	**0**	**0**	**1**

წყალში ხტომა. იუა ჩაომ და იანქუან ყანმა ჩინეთს ოქრო მოუტანეს

ხუთი კარგი ბიჭი

ზურაბ თალაკვაძე

მარსელინიო უერტასმა (9) ავსტრალიასთან 15 ქულა და 10 პასი დადო

ლონდონში კალათბურთის პირველი ფესტივალი დაიხურა. პირველი დღის ამბები პირველი სიმბოლურით გავხსნათ.

ემანუელ ჯინობილი (არგენტინა) - ლიტვასთან **21+10** მოხსნა+**6** პასი+**4** ჩაჭრა+**შარმი**

არგენტინამ ბოლო კრუიზი ლამაზად, არგენტინულად გახსნა. 8 წლის წინ, ათენში, ემანუელ ჯინობილი იმ ოლიმპიადის ჯორდანი იყო. ის მანუ უფრო სწრაფად აგვარებდა პრობლემებს და მაჩეტეს ხელიდან არ უშვებდა. არგენტინამ 102:79 დასვა. ემანუელი უკვე დიდი ბიჭია, თითქმის ყველაფრის ოპერაცია აქვს გაკეთებული და ხანდახან იღლება, ბოლომდე ვერ მიდის. არგენტინა ამ ჯონობილისაც მიიღებს. მანუ გენიოსია. სტოქტონური პასები, ინტელექტი და ქარიზმა - ჯინობილის პიცაში სამივე ინგრედიენტი ისინჯება. ლიტვასთან ლეგენდამ 7 სამიანი გაუშვა. 6 ვერ ჩასვა და სხვა ამბებში აკრიფა. არგენტინა ბოლო ოლიმპიურ არდადეგებზე ჩავიდა. დაისვენებს, ჯინობილის მაჩეტეს კანის ნაფლეთებში გაატარებს და თუ არ დაიღლება, ფინალში შევა. არგენტინა შეიცვალა. მანუც შეიცვალა ვიზუალურად. მანუ სისწრაფით ვერ იღებს ასაღებს და მანუ ჯინობილია.

მარსელინიო უერტასი (ბრაზილია) - ავსტრალიასთან **15+10** პასი+**4** მოხსნა+**2** ჩაჭრა+**სამბა**

ბრაზილიამ თითქმის გაინაღდა გასავარდნი ეტაპის ჰამაკი. ჩაწვება, წაუძინებს და უკეთეს გუნდთან უფრო ბრაზილიურად, სექსუალურად შეუბერავს. ბრაზილიაში სამი მაღალი კრიმინალი (ტიაგო სპლიტერი, ნენე, ანდერსონ ვარეჟაო) სამწამიანში უზის ათამაშებენ. ბრაზილიაში ლეანდრო ბარბოსა ავტორიტეტია. ბრაზილიაში პელეს სპორტის სახეობები ეშლება და სპლიტერზე თქვა, ნიჭიერი ფრენბურთელია და მოუმატებსო. ბრაზილიაში ნეიმარი ფეხბურთის ჯონი როტენია და ბრაზილიამ ავსტრალიას 75:71 მოუგო. მარსელინიო უერტასის ლაზერული პასებით მოუგო და ბიჭი გემოვნებით აკეთებდა ყველაფერს. არასრულ 33 წუთში 10 პასი და 2 შეცდომა კლასიკაა. უერტასმა წაუცეკვა და სამბამ ავსტრალიის ბრეიქი გადაფარა. ლამაზი იყო. უერტასი ბრაზილიის ხერხემალია.

კევინ დიურანი (Dream Team) - საფრანგეთთან **22+9** მოხსნა+**2** პასი+**2** ჩაჭრა+**2** დაფარება+**ცინიზმი**

ამერიკული ბლოკბასტერის თითო სერიას სხვადასხვა რეჟისორი, ქორეოგრაფი დაუნიშნეს. პირველ სერიაში, ტონი პარკერის კრუასანებთან, ამერიკამ სტივენ სპილბერგის სცენარით, აზროვნებით, ხედვით აარტყა საფრანგეთს. შემდეგი ეპიზოდიდან მარტინ სკორსეზე ან ფრენსის ფორდ კოპოლა წამოვლენ. ან რობ ზომბის გაიხსენებენ და ამერიკული სადიზმის სეანსს ნიჭიერი რობი გვაჩვენებს. რობიც ნიჭიერი ტიპია. ამერიკა ძალიან ნიჭიერია. საფრანგეთთან ამერიკამ აკლიმატიზაცია გაიარა. მეორე გარჩევიდან უფრო განგსტერული ამერიკა წამოვა. კევინ დიურანი ამ ბანდის ლაკი ლუჩიანოა. არ ამჩნევს, რომ ხელს უშლიან. ლებრონს, კობის ან პოლს თვალებით ეჭორავება და ამერიკამ წამოიღო. კალათბურთი რეგთაიმით. კალათბურთი შოკოლადის ბეზეთი. კალათბურთი კევინ დიურანით. სხვა კალათბურთი. 98:71. ამერიკის.

ანდრეი კირილენკო (რუსეთი) - **35+4** მოხსნა+**3** დაფარება+**2** ჩაჭრა+**კლასი**

34 წუთში 35 ქულას კობი იღებს. ან ჯეიმსი. ან კევინ ლავი. რუსეთს არ გაუმართლა, რომ კობი არარუსია. რუსეთს არ გაუმართლა, რომ კობი კრემლის სასადილოში არ სადილობდა. რუსეთს არ გაუმართლა, რომ მისტერ ლავი ამერიკელია. რუსეთს გაუმართლა, რომ ანდრეი კირილენკო რუსია. 15 საშუალოდან კარგმა რუსმა 13 ათიანში ჩასვა. 2/1 სამიანი, 8/6 რეალიზებული სტატიკური სროლაც თემაა. კირილენკო სულ რაღაცას ასწრებდა. ანდრეიმ აჭრა ლუოლ დენგი და "ბულზის" ჯოკერმა ვერ გაქაჩა (16/6 2 Pt, 11/2 3 Pt). კირილენკომ ალექსეი შვედთან (16+13 პასი) ერთად დასერა დიდი ბრიტანეთი და ყველაზე მაგრად "მინესოტა" გაერთო. ახალი სეზონიდან კირილენკო და შვედი "ტიმბერვულვზში" ირბენენ. ლავთან და რიკი რუბიოსთან ერთად. სასიამოვნო პერსონა მოქნილი აზროვნებით. ეს კირილენკოა. რუსეთმა ბრიტანეთს 95:75 დაუტოვა.

ლუის სკოლა (არგენტინა) - ლიტვასთან **32+5** მოხსნა+**4** პასი+**3** დაფარება+**ინტელექტი**

არგენტინამ ლიტვური რესტორანი ფეხით შეაღო, გაუპარსავი ნიკაპი მოიფხანა და სიტუაციას გადახედა. რესტორნიდან ზედმეტები გაყარა, ცეზარი შეუკვეთა და დაისვენა. არგენტინამ ჯინობილის სამიანით დაიწყო და ლუის სკოლას ქუღლებით დახურა თემა. სკოლა არ იცვლება. სამი, ოთხი, ცოტა მეტი მეტრიდან ლუისი ჩასაგდებს ჩააგდებს და გაიხსნება. ნაკრებში ცუდი სკოლა არ მახსოვს. უახლოვდება სამწამიანს, ტრიალებს და ლიფსოთი გიგდებს. ან არ ტრიალებს და ცენტრს აყენებს, გაწვება, დაცვაში დარჩენის სურვილს გიკარგავს. სკოლამ ლიტვასთან 19 სროლიდა? 12 გამოიყენა. ლუისმა 13 საჯარიმოდან 5 ვერ აითვისა და ეს მოგვარდება. ლუისმა ამერიკასთან უნდა გაეკეთოს საქმე. იქ ჯინობილი გოია იქნება და სკოლას იერონიმ ბოსხის ფუნჯით ველოდებით. ლუისის სკოლა დაიწყო და ყელსახვევებზე სისხლის წვეთებია დარჩენილი.

საქართველოს ნაკრებმა ესტონეთს შანსი არ დაუტოვა

საქართველოს საკალათბურთო ნაკრებმა ესტონეთში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე, პირველივე მატჩში, ანგარიშით 90:76 მასპინძლებს სძლია. თამაშის შემდეგ ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა დავით უსტიაშვილმა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვებგვერდს მცირე ინტერვიუ მისცა.

- თამაშით კმაყოფილი ვართ, რადგან საბოლოოდ დამაჯერებელი სხვაობით მოვიგეთ. საქართველოს ნაკრებმა ხასიათი გამოავლინა. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლებმა კარგად დაიწყეს და პერიმეტრიდან ზუსტი თამაშით მნიშვნელოვანი სხვაობით დაწინაურდნენ, ჩვენმა გუნდმა მოახერხა თამაშზე კონტროლის დაწესება. დაცვაში ზუსტი თამაშით ესტონელებს შეტევაში წარმატების შანსი შევუმცირეთ და მესამე მეოთხედში სოლიდური უპირატესობა მოვიპოვეთ...

- ვერავის გამოვყოფ, მთლიანად გუნდმა კარგად ითამაშა. ავსტრიული შეკრების შემდეგ პირველად ვთამაშობდით და იყო გარკვეული შეცდომები, რაც ნელ-ნელა, მომავალ ამხანაგურ მატჩებში გამოსწორდება. გუნდის წევრები კარგ ფორმაში არიან, რაც მომავალ მატჩებში წარმატების მიღწევის იმედს იძლევა.

- დღევანდელ მატჩში ჩვენ ჯეიკობ პულენზე გავაკეთეთ არჩევანი, კორი ფიშერი კი ისვენებდა. ამხანაგური ტურნირია და გვქონდა ორი ამერიკელით თამაშის შესაძლებლობა, მაგრამ ეს არ გავაკეთეთ, რადგან ოფიციალურ მატჩებში ორ ნატურალიზებულ კალათბურთელს ვერ ვათამაშებთ. პულენმა პირველად ითამაშა ჩვენს გუნდში და, მიუხედავად ამისა, ისე გამოიყურებოდა, როგორც ჩვენი ნაკრების სტაჟიანი წევრი. ის ძალიან შედეგიანი იყო, 12 წუთში 14 ქულა დააგროვა. მწვრთნელებმა მისი შესაძლებლობები თვალნათლივ დავინახეთ.

კლიპი ამერიკელი მოცურავეებისგან

ამერიკელი მოცურავეები ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე, ალბათ, არაერთ ოქროს მოიგებენ. საფუძველი უკვე ჩაყრილია. რაიან ლოხტემ კომპლექსურ ცურვაში ყველას აჯობა. ლონდონში გამგზავრებამდე კი ოლიმპიური ცურვის ტურნირის მთავარმა ფავორიტებმა აშშ-ში პოპულარულ შემსრულებელ კარლი რი ჯეპსენის მუსიკაზე გადაიღეს ვიდეოკლიპი, რომლის ნახვის შემდეგ დარწმუნდებით, რომ ლეგენდარულ მაიკლ ფელპსს და მის თანაგუნდელებს, ცურვასთან ერთად, გართობაც კარგი სცოდნიათ.

გახსნის ცერემონიას კურიოზის გარეშე არ ჩაუვლია

ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიაზე ერთი კურიოზული ფაქტი დაფიქსირდა.

ყველასთვის მოულოდნელად, ინდოელი სპორტსმენების კოლონის თავში წითელ ბლუზასა და ლურჯ ჯინსებში გამოწყობილი უცნობი ქალბატონი გამოჩნდა. მისი ვინაობა ჯერაც დაუდგენელია.

"ის იქ არ უნდა ყოფილიყო. ამ საკითხს ორგანიზატორების წინაშე დავაყენებთ. ჩვენ არ ვიცით, ვინ არის ეს ქალბატონი და რა უნდოდა ჩვენი კოლონის თავში. ამიტომ ორგანიზატორებისგან ოფიციალურ ბოდიშს ვითხოვთ. ქალბატონმა მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაყენა. ინდოეთის ოლიმპიური ნაკრები გახსნის ცერემონიალის ტელეტრანსლაციისას დაახლოებით 10 წამის განმავლობაში აჩვენეს და დროის ამ მონაკვეთში ყველა ვიდეოკამერა ამ უცნაური ქალბატონისკენ იყო მიმართული", - აცხადებს ინდოეთის ნაკრების ერთ-ერთი ხელმძღვანელი მურალიდხარან რაჯა.

დიეგო მარადონა სარკეში

ზურაბ თალაკვაძე

დიეგო მარადონაა.

მარადონაში არგენტინა, კოკაინის მოგონებები, შვილების სიყვარული და ქუჩური სიბრძნეა. დიეგომ სარკეში ჩაიხედა და ბევრი კარგი რაღაც თქვა.

1. ჩემი სახელი არ არის მძიმე ტვირთი... ჩემთვის.

2. ჩემი შვილები, დალმა და ჯანინა, სიცოცხლეზე მეტად მიყვარს. ჩემი დანარჩენი შვილებიც სიცოცხლეზე მეტად მიყვარს. უბრალოდ, ჯერ მათი სახელები არ ვიცი.

3. დედაჩემმა მითხრა, რომ საუკეთესო ვარ. დედა მართალია. დაუჯერეთ დედებს.

4. ნარკოტიკებთან მეგობრობის დაწყება სახიფათო და სასიამოვნოა. ერთბაშად გრძნობ, რომ ამ მეგობართან ყოველდღე უსიამოვნებები გექნება და მაინც მეგობრობ. მერე ორალური სექსივით მოაქვს - სხეული ეშვება და იკარგები. იმ მომენტში ფიქრობ, რა აზრი აქვს, რა იქნება ხვალ, დღეს მე ჩემპიონი ვარ.

5. ყველა, ვინც მაკრიტიკებს, ადრე თუ გვიან მიხვდება, რომ ცდებოდა.

6. ნებისმიერი, ვინც ქურდისგან იპარავს, პატიებას იმსახურებს.

7. ფეხბურთის დროს ბურთი უნდა დაისვაროს.

8. ყველა პოლიტიკოსთან ფორა მაქვს. ისინი ხალხს დაპირებებით ატყუებენ. მე ხალხს მოედანზე ვატყუებდი.

9. მე არგენტინელი ვარ. და ვამაყობ ჩემი არგენტინული სასქესო ორგანოთი.

10. ხშირად ვადარებ საკუთარ თავს მაკმერფის, ჯეკ ნიკოლსონის პერსონაჟს ფილმიდან ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა".

11. ღმერთმა დიდი ნიჭი მომცა. ღმერთს სულ მადლობას ვუხდი. ჩემი ყველა ფინტი, ყველა გოლი, ყველა განსაკუთრებული მომენტი ღმერთს ეკუთვნის. არ მინდა, რომ ღმერთი იმედგაცრუებული დარჩეს. ის ღმერთია, მე - დიეგო მარადონა.

12. ადრე ბუენოს აირესთან, ფიორიტოში ვცხოვრობდი. ჩვენი სახლი ისეთი ძველი იყო, რომ საძინებელში უფრო წვიმდა, ვიდრე - გარეთ.

13. მქონდა მილიონები და მილიონებს ნარკოტიკებში ვუშვებდი. ნარკოტიკი ჩემი დედა, საყვარელი ადამიანი, შვილი, მეგობარი, ნდობა იყო.

14. ღმერთი ეხმარება მხოლოდ იმას, ვინც საკუთარ თავს ეხმარება.

15. მსოფლიოში ბევრი დევიდ ბექჰემია. უბრალოდ, ვინმემ უნდა უთხრას, რომ ისინი ბექჰემები არიან.

16. ჩემი შვილებისთვის მე საუკეთესო ვარ. ჩემთვის ეს საკმარისია.

17. უბედური შემთხვევის არ მჯერა. მხოლოდ ერთ შემთხვევაში დავიჯერებ. თუ ჩემი რომელიმე სიძე ცუდად მოექცევა ჩემს შვილს.

18. ოჯახის სიწმინდის დაცვის დროს ბინ ლადენი ვარ.

19. ხალხი ვერ ხვდება, რომ დიეგო მარადონა არ არის იდეალური პერსონაჟი. ის უბრალოდ იდეალური დიეგო მარადონაა.

20. ემანუელ ჯინობილი არ არის ჩემი ძმაკაცი. და ჯინობილი არგენტინაა. ვამაყობ, რომ ერთი დროშისთვის ვიბრძვით.

21. ცოლისთვის არ მიღალატია. თუ ხანდახანმაინც ვიცელქებდი, ჩემი ცოლი ამას ვერ გაიგებდა. იმიტომ, რომ სიცოცხლეზე მეტად მიყვარს.

22. ტანდილში (მარტინ პალერმოსთან ერთად) ხუან მარტინ დელ პოტროსთან ჩავედი. დავლიეთ, ვითამაშეთ ჩოგბურთი, დავლიეთ, ვითამაშეთ ფეხბურთი. და ვერ მივხვდი, იქ რატომ ჩავედი.

23. უხეში იუმორის დიეტაზე ვზივარ. თქვენც გირჩევთ.

24. ნუ დაკარგავთ დროს იმაზე ფიქრით, ვინ იყო უკეთესი - მარადონა თუ პელე. პელემაც იცის, რომ უკეთესი მარადონაა.

25. ორი თვე ფსიქიატრიულ კლინიკაში ვიყავი. იქ ერთ-ერთი პაციენტი ამტკიცებდა, რომ ნაპოლეონია. ერთმა დამაჯერა, რომ პინოჩეტია. და არავის არ სჯეროდა, რომ მარადონა ვარ.

26. ფეხბურთით უნდა დაისვენო. სტრესი და ფეხბურთი ვერ მეგობრობენ.

27. კარგია, რომ ბოლო დროს ჰომოსექსუალისტების რიცხვი გაიზარდა. ნორმალურ ხალხს მეტი მაგარი ქალი დაგვრჩა.

კობი ბრაიანტი: "თუ წავაგეთ, ამერიკაში აღარ შეგვიშვებენ"

ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთ ყველაზე სანახაობრივ სახეობად ვაჟთა კალათბურთია მიჩნეული. ამის მთავარი მიზეზია აშშ-ის ნაკრები, რომელიც NBA-ს ვარსკვლავებითაა დაკომპლექტებული. მათ შორის ყველაზე გამორჩეულად NBA-ს ხუთგზის ჩემპიონი კობი ბრაიანტი უნდა ჩავთვალოთ. ლონდონში მყოფმა კობიმ ერთ-ერთ უცხოურ გამოცემას მისცა ინტერვიუ.

- უკანასკნელ ხანს ხშირად ამბობენ, რომ NBA-ს ვარსკვლავებს ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლა უნდა აეკრძალოთ. საჭიროა შეიქმნას მსოფლიო თასის მსგავსი ტურნირი, სადაც პროფესიონალი კალათბურთელები ითამაშებენ, ოლიმპიადა კი სტუდენტებს დაუთმონ...

- ყოველთვის ვამბობდი, რომ წესი, რომელიც ვინმეს ოლიმპიურ თამაშებში გამოსვლას უკრძალავს, დისკრიმინაციული და სულელურია. ოლიმპიადა საუკეთესოთა შეჯიბრება უნდა იყოს და თუ NBA-ს კალათბურთელს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მიღება სურს, მას ხელი არავინ არ უნდა შეუშალოს. ადამიანს თავისუფალი არჩევანის საშუალება უნდა ჰქონდეს. რა დააშავა დერეკ როუზმა, რომელიც ლონდონის ოლიმპიადას ტრავმის გამო გამოტოვებს. მას ოთხი წლის შემდეგ უნდა მივცეთ მედლის მოგების შანსი.

- დუეინ ვეიდმა კი თქვა, რომ NBA-ს კალათბურთელებს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობისთვის ფული უნდა გადაუხადონ.

- მის სიტყვებში არის სიმართლის მარცვალი, თუმცა, არსებობს სხვა მარცვალიც. ჩვენ ძალიან მოგვწონს აქ ყოფნა. შესაძლოა, დუეინის მოსაზრებას ვიზიარებდეთ კიდეც, მაგრამ ჩვენ ხომ არ გვითქვამს, თუ არ გადაგვიხდით, არ ვითამაშებთო. გვინდა აქ ყოფნა და ამიტომაც ჩამოვედით.

- არსებობს ტრავმის მიღების რისკი, NBA-ში კი გარკვეული ვალდებულებები გაქვთ.

- ნუთუ გგონიათ, რომ ზაფხული სრულ სიმშვიდეში უნდა გავატაროთ?! რა თქმა უნდა შეიძლება სახლში ჩაკეტვა და დასვენება, მაგრამ თუ ორკვირიან ტურნირში მონაწილეობის ძალა შეგწევს, რატომ უნდა თქვა უარი ოლიმპიურ თამაშებზე?

- პირადად თქვენ უკვე ყველაფერი გაქვთ მოგებული...

- პირადად მე უბრალოდ მოგება მინდა. თამაში და მოგება.

- არჩევანის უფლება რომ გქონდეთ - ოლიმპიური ოქრო ან NBA-ს ჩემპიონობა, რომელს აირჩევდით?

- ორივეს. თანაც, სულ მცირე, ორ-ორჯერ.

- ითვლება, რომ ოლიმპიურ თამაშებზე თქვენი მთავარი კონკურენტი ესპანეთის ნაკრებია. ამას წინათ ბარსელონაში ესპანელებთან ამხანაგური მატჩი გამართეთ და საკმაოდ ადვილად გაიმარჯვეთ.

- იმ შეხვედრაში მარკ გასოლს არ უთამაშია. მის გარეშე კი ესპანეთის ნაკრები სულ სხვა გუნდია. როდესაც მარკი და მისი ძმა პო ერთად არიან მოედანზე, მათ წინააღმდეგ თამაში ძალიან ძნელია. დამიჯერეთ, ამ ოჯახს ძალიან კარგად ვიცნობ. პო ჩემი ერთ-ერთი უახლოესი მეგობარია. ბარსელონაში ვახშმითაც კი გამიმასპინძლდა.

- ოლიმპიურ სოფელში ცხოვრობთ?

- სამწუხაროდ, არა.

- რატომ სამწუხაროდ? ოლიმპიურ სოფელში გინდოდათ ცხოვრება?

- დიახ, მეც და მთელ ჩვენს გუნდსაც.

- არადა, ყველა ფიქრობს, რომ ცალკე, დიდ სახლებში გერჩივნათ ყოფნა...

- ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის ერთ-ერთი მთავარი ნაწილი სწორედ ოლიმპიური სოფელია. ამიტომ სპეციალურად ჩავდივართ იქ. ოლიმპიურ სოფელში ოლიმპიური სულით იჟღინთები.

- კიდევ სად აპირებთ წასვლას, რომ ოლიმპიური სულით ბოლომდე გაიჟღინთოთ?

- შეძლებისდაგვარად ყველა შეჯიბრებას უნდა დავესწრო. შევხვდები სპორტსმენებს. სწორედ ესაა ოლიმპიადა.

- კერძოდ, სპორტის რომელი სახეობების ნახვას აპირებთ?

- პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე ძირითადად ცურვასა და მძლეოსნობაზე დავდიოდი. სპორტის ეს ორი სახეობა ძალიან პოპულარულია. ახლა ვეცდები, შედარებით ნაკლებად პოპულარულ სახეობებს მივაქციო ყურადღება. მშვილდოსნობა, ჭიდაობა, ძალოსნობა, ტანვარჯიში... მოკლედ, გრძელი სია მაქვს.

- კალათბურთის თამაშს თუ აპირებთ?

კობი ბრაიანტი და აშშ-ის ნაკრების მწვრთნელი მაიკ კაჟიჟევსკი

- რა თქმა უნდა. თავისუფალ დროს კალათბურთს ვითამაშებ... ვხუმრობ, რა თქმა უნდა. ბევრ სახეობაზე მინდა მისვლა, თუმცა, ცხადია, ვერ მოვახერხებ.

- ცნობილია, რომ ფეხბურთის დიდი ფანი ბრძანდებით...

- დიახ, მაგრამ თამაშები სხვადასხვა ქალაქებშია და ფინალამდე ფეხბურთზე მისვლას, ალბათ, ვერც შევძლებ. აუცილებლად ვუგულშემატკივრებ ბრაზილიელებს. რა ჰქვია იმ ბიჭს, მათ მთავარ ვარსკვლავს?.. ოსკარი? ის, უბრალოდ, შეუდარებელია.

- არსებობს კონკრეტული სპორტსმენი, რომლის ხილვაც გსურთ?

- ვიქტორია პენდლტონი, ბრიტანელი ველოსიპედისტი ქალი, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი. ეს ალბათ მისი უკანასკნელი ოლიმპიადაა და ძალიან გამიხარდება, თუ გაიმარჯვებს.

- ამერიკელებს არ უგულშემატკივრებთ?

- როგორ არა, მაიკლ ფელპსის ასპარეზობას, ცხადია, არ გამოვტოვებ. ძალიან მაინტერესებს, შეძლებს თუ არა ლოხეტი მისთვის ერთი ოქროს წართმევას მაინც.

- რა როლი ეკისრება კობი ბრაიანტს აშშ-ის ნაკრებში?

- როგორ აგიხსნათ... დაახლოებით გეტყვით. მოკლედ, ისეთი კალათბურთელის, რომელსაც მოედანზე ანაგრიშის შესანარჩუნებლად უშვებენ. თანაც, მეტოქე გუნდის ყველაზე ძლიერი კალათბურთელის შეჩერებაც დაევალება.

- ამ ოლიმპიადაზე ძალიან უცნაური ფორმა გაქვთ. ტრუსები წინ თეთრია, უკან - ლურჯი...

- სამაგიეროდ გახსნის ცერემონიალზე გამოვიყურებოდით იდეალურად. სამხედრო სტილის ბერეტებში ოფიციალურ პირებს ვგავდით.

- ახლანდელ ნაკრებში თავს ვეტერანად გრძნობთ?

- ვგრძნობ კი არა, ვარ. ლებრონმა OG შემარქვა...

- ეგ რას ნიშნავს?

- Original Gangster. მიხდება ეს მეტსახელი და ახლა გუნდში ყველა ასე მეძახის.

- ალბათ, სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ცოტა ხნის წინ 1992 წლის დრიმ თიმი" გაიხსენეთ...

- აბა რა. სხვამ ვინ უნდა გაიხსენოს?!. მაშინ დურანტი სულ სამი წლის იყო. მე კი უკვე სერიოზულად ვთამაშობდი კალათბურთს. 1992 წლის გუნდი საოცრება იყო. ჯორდანი, ბერდი, მეჯიკი, რობინსონი... ჩვენ არ ვაპირებთ მათთან შედარებას. ჩვენ ჩვენი გუნდი მოგვწონს.

- როგორ შეაფასებთ იმ აჟიოტაჟს, რომელიც მას შემდეგ ატყდა, რაც თქვენ თქვით, რომ 1992 წლის დრიმ თიმის" დამარცხებას შეძლებდით?

- კომენტარები სულელური იყო. ნუთუ გგონიათ, რომ იმ გუნდს ერთ თამაშს მაინც ვერ მოვუგებდით! მე არ მითქვამს, რომ ჩვენ ობიექტურად უფრო ძლიერები ვართ, თუმცა, იმის მტკიცება, რომ ჩვენ იმ გუნდს ვერ დავამარცხებდით, არ შეიძლება.

- იცით თუ არა, რა თქვა ამის თაობაზე ბარაკ ობამამ?

- მან თქვა, რომ 1992 წლის გუნდი უკეთესია. დიახ, ეს ასეა, ის გუნდი მართლაც უკეთესია, მაგრამ საკითხი სხვანაირად დგას. საუბარია იმაზე, შევძლებდით თუ არა ჩვენ იმ გუნდისთვის თუნდაც ერთი თამაშის მოგებას. მე ვფიქრობ, რომ შევძლებდით.

- ერთი მატჩის?..

- დიახ. შეიძლება ორიც მოგვეგო... მაშინ მსოფლიოს საუკეთესო კალათბურთელები მხოლოდ NBA-ში თამაშობდნენ. კალათბურთის დონე ამაღლდა და ოლიმპიური თამაშების მოგება NBA-ში მოთამაშე საუკეთესო მოთამაშეების გარეშე შეუძლებელია.

- არსებობს თუ არა შანსი, რომ ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე ოქრო ვერ მოიგოთ?

- იმედია, არა. თუ წავაგეთ, ალბათ, ამერიკაში აღარც შეგვიშვებენ.